გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

# სამტრედიის მაცნე

N21 (9237) 31 ივლისი. 2017 წელი ფასი 50 თეთრი



## ''ალტკომელები'' კვლავ ხელფასის მოლოდინში

2



3

## იციან სამტრედიელებმა, ვინ ვინ არის

## არა მხოლოდ მე, მთელ ჩვენს გუნდს უნდა...

4





## ნეტავ, თქვენი თანაკლასელი ვიყო!

6

## სამრეკლო კომპლექსი შენდება

წამალთხანიდან თანამედროვე აფთიაქებამდე



7

## სამტრედიელთა საყვარელი რუსუდან ექიმი

# "ალტკომელები" ჯერაც ხელფასის მოლოდინში

ნინო ნანიტაშვილი

ხმაური იყო 24 ივლისს სამტრედიაში. "ალტკომის" ადმინისტრაციული შენობის წინ, იქ, სადაც უკრაინულ კომპანიას ოფისი აქვს დაქირავებული, ავტობანის მშენებლობაზე დასაქმებულმა ადამიანებმა შეკრება ორშაბათს დილიდანვე დაიწყეს. დაზარალებული თანამშრომლების პროტესტი რამდენიმე თვის განმავლობაში მიუღებელი ხელფასით იყო გამოწვეული.

გაფიცულთა შორის ის სამტრედიელებიც იყვნენ, რომლებსაც უკრაინელებზე საცხოვრებელი ფართები აქვთ მიქირავებული.

ნინოშვილის ქუჩის მე-4 ჩიხში მცხოვრებმა 64 წლის გია ხურციძემ 2 წლის წინ საკუთარი სახლი უკრაინელებზე გააქირავა და ოჯახთან ერთად სოფელში გადავიდა საცხოვრებლად. უმუშევარი კაცი 700 ლარით შვილებისა და შვილიშვილების გამოკვებას ფიქრობდა.



"ალტკომისაგან" ორმაგად არის დაზარალებული თენგიზ ჯინჭარაძე. დაცვის თანამშრომელი უკრაინულ კომპანიას გადაუხდელ 3 თვის ხელფასს და 4 თვის ბინის ქირას ედავება.

"ალტკომის" ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლად გუშინ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. დახურულ კარს მიღმა სიტყვიერი შეთანხმება შედგა, რომელიც აქციის მონაწილეებთან უშუალოდ მუნიციპალიტეტის გამგებელმა გააჟღერა. ვალერიანე ფოცხვერიასა და "ალტკომის" იურისტის დაპირებას, რომ კომპანია დავალიანების 60 პროცენტს იმ დღეს, ხოლო დარჩენილ 40 პროცენტს კვირის ბოლომდე გაისტუმრებდნენ, აქციის მონაწილეები უნდობლობით შეხვდნენ. განსაკუთრებით კი ის ადამიანები, რომლებიც ხელზე ხელფასის ასაღებად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ყოველდღიურად ჩამოდიან. ვინაიდან "ალტკომის" ანგარიშები დაყადაღებულია, კომპანია საბანკო ოპერაციებს ვერ ასრულებს.

დამაკმაყოფილებელი პასუხი ვერ მიიღეს უკრაინელებზე გაქირავებული ფართების მფლობელებმა. ადმინისტრაცია მათთან ანგარიშსწორებას, სავარაუდოდ, მომდევნო კვირაში აპირებს.








# მუნიციპალიტეტის მართვის სისტემა განახლდა

სამოქალაქო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს მასშტაბით განხორციელებულ ევროპული მმართველობის დაგეგმვის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოციალური, არქიტექტურისა და ქონების მართვის სამსახურები ახალ კომპიუტერულ სისტემაზე გადავიდნენ. ამისთვის მათ სააგენტოდან მოწვეულმა სპეციალისტმა ტრენინგი ჩაუტარა. ეს ნიშნავს, რომ ამ ტრენინგის გავლისა და პროგრამის ათვისების შემდეგ, გაცილებით გაადვილდება მოქალაქეების სხვადასხვა სერვისებით მომსახურების პროცესი, დაიზოგება დრო საქმის წარმოებისათვის. იგი არა მხოლოდ დაინტერესებულ მოქალაქეებს, სისტემაში დასაქმებულ ადამიანებსაც გაუადვილებს მუშაობის პროცესს. ახალ სისტემაზე უკვე გადავიდა მაღალმთიანი რეგიონების 48 რაიონი. ამჯერად მასში სხვა რაიონები და რეგიონებიც ჩაერთვებიან და მათ შორის სამტრედია. "აქამდე კანცელარიის სისტემით მუშაობდენ, რომელიც ზუსტად ვერ აღნიშნავს რამდენ ადამიანს რამდენად დაეხმარნენ. ვერ აზუსტებს ციფრებს და გაურკვევლობას ქმნის რიგ საკითხებში. ინფორმაციის შეყვანა ბევრ სხვადასხვა სისტემაში უწევდათ დაზუსტებული პასუხის მისაღებად. ამ პროგრამის ათვისების შემდეგ ეს პროცესი ერთიორად გაადვილდება. მას "მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა" ჰქვია და ყველა საჭირო ინფორმაციას აერთიანებს ერთ სივრცეში, ამასთანავე, ადვილად მოსაპოვებელს ქმნის მას." _ ამბობს სერვისების განვითარების სააგენტოს კონსულტანტი, ნინო გორგიაშვილი.

ყველა ზემოთ ხსენებულ სამსახურში უკვე გაიარეს ტრენინგები. "სისტემის განახლებასთან დაკავშირებით თუ რამენაირი გაურკვევლობა იქნება, მზად ვართ დასახმარებლად". _ დასძინა ნინო გორგიაშვილმა.

ია ბაბუნაშვილი

# "სამტრედიელის" დარბაზის სხდომაზე

21 ივლისს გაიმართა საზოგადოება "სამტრედიელის" დარბაზის რიგგარეშე სხდომა.

ინფორმაციებით გამოვიდნენ ბატონები თეიმურაზ ტორონჯაძე და მოგელი კუპრეიშვილი.

სხდომამ ღია კენჭისყრით აირჩია საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: თემურ ტორონჯაძე, გია ბოჭორიშვილი, ნუგზარ ხაჟალია, მანანა მსხილაძე, ტატა გოგუაძე, ვეფხია ნადირაძე, მოგელი კუპრეიშვილი, ლევან გაბეჩავა, სოსო ახობაძე, ზაზა ნიკოლეიშვილი, რევაზ კანდელაკი.

საზოგადოება "სამტრედიელის" გამგეობა

# რაც კარგია, კარგია

ნაგვის 19 ურნა დაიდგა ამ დღეებში იანეთის საზღვრიდან დიდი ჯიხაიშის მიმართულებით (სერგეთის მინდვრებამდე), აქედან 7 იანეთის, 12 დიდი ჯიხაიშის ტერიტორიაზე.

_ მოსახლეობის თხოვნა შესაბამის სამსახურებამდე მივიტანეთ და საკითხიც გადაიჭრა, მომავალში ვგეგმავთ, გაცილებით დიდი ტერიტორია მოვიცვათ გოჩა ჯიხაიშისა და ყაზბეგის უბნის მიმართულებით. _ გვეუბნება დიდ ჯიხაიშელთა მაჟორიტარი გიორგი ლეჟავა და თავის მხრივ მადლობას უხდის კომუნალურ სამსახურს. სოფლიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენები ყოველდღიურად გააქვთ, რაც მოსახლეობის კმაყოფილებას იწვევს.

ლევან გაბეჩავა



# იციან სამტრედიელებმა, ვინ ვინ არის
# არა მხოლოდ მე, მთელ ჩვენს გუნდს უნდა...

თეა ბაბუნაშვილი

**გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე ჟურნალისტებთან ურთიერთობას არასდროს გაურბის, მაგრამ მაინც რჩება მუნიციპალიტეტის ხელისუფლების იმ წარმომადგენლად, პრესის ფურცლებზე შედარებით ნაკლებად რომ ჩანს. მისეული ინტელექტის წყალობით სასიამოვნო მოსაუბრე რომ არის, ეს ამ შემთხვევაში სხვა თემაა, ამჯერად კი ხაზს მის პროფესიონალიზმსა და საქმიან იმიჯს ეს ინტერვიუც უსვამს. ამიტომ ამას დასაწყისშივე აღვნიშნავთ და არა კომპლიმენტის სათქმელად. მოკლე კომენტარისთვის დაწყებული საუბარი გაგრძელდა და მოცულობით ინტერვიუდ დაიწერა. მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებზე, მკითხველისთვის ნაცნობ-უცნობი სიახლეებით დავით ბახტაძე "სამტრედიის მაცნეს" მკითხველს მუნიციპალიტეტისთვის საჭირბოროტო თემებზე ესაუბრება.**



_ წლის დასაწყისშივე ინფრასტრუქტურული სამუშაოები ადგილობრივ

ბიუჯეტში დიდი რაოდენობით დაიგეგმა. ციფრებით რომ შევადაროთ, თუ გასულ წელს მისი თანხობრივი მაჩვენებელი 1 მილიონი ლარის ფარგლებში იყო, წელს სამი მილიონი ლარია. წლის განმავლობაში, რეგიონებში მიმდინარე პროექტების განსახორციელებლად, არაერთგზის გამოგვეყო თანხა ცენტრალური ბიუჯეტიდან. თავდაპირველად მან 2 მილიონი ლარი შეადგინა. ამის ზემოთ თანადაფინანსების წილი ადგილობრივი შემოსავლების ხარჯზე 700 ათასამდეა. გარდა ამისა, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსებისთვის საქართველოს მთავრობამ მოსახლეობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რომლითაც აქცენტი გზების მოწესრიგებაზე კეთდება, კიდევ 791 ათასი ლარი გამოუყო მუნიციპალიტეტს. იმ ქუჩების ჩამონათვალი, პირველი რიგის პროექტებად რომ იყო გათვალისწინებული, ყველასთვის ცნობილია. მეორე ეტაპზე მათ კიდევ 9 ქუჩა დაემატა. წელს განსაკუთრებით დიდი თანხა დაიხარჯა საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად. მან საერთო ჯამში, 5 130 700 ლარი შეადგინა.

**_ როგორც ვიცი, სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებში მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა წელს გასულ წლებთან შედარებით უპრეცედენტოდ დიდია.**

_ როგორც უკვე გითხარით, გასულ წელს ერთი მილიონი ლარი იყო ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის. 2010 წლიდან მოყოლებული 2016 წლამდე ეს თანხა 500 ათასს არ აცილებია. წელს მისი სამ მილიონამდე მატება, უპირველესად, ადმინისტრაციული და წარმომადგენლობითი ხარჯების შემცირებით გახდა შესაძლებელი. თვალშისაცემია საკუთარი შემოსავლების ზრდა. შემოსავლების სამსახურთან აქტიური კომუნიკაციით შევძელით ქონების გადასახადის ნაწილში შემოსავლების გაზრდა. გარდა ამისა, მიმდინარე წელს ცვლილება შევიდა კანონში მოსაკრებლების შესახებ. სათამაშო ბიზნესზე მოსაკრებელი კვარტალში 250 ათასი ლარი დაწესდა. ჩვენს მუნიციპალიტეტში წლის დასაწყისშივე დარეგისტრირებული იყო ამ გადასახადის გადამხდელი კომპანია "სუპერბეთი 2014". დაწესებული განაკვეთიდან გამომდინარე, იგი წლიურად 1 მილიონი ლარით ავსებს ადგილობრივ ბიუჯეტს. არ არის გამორიცხული მიმდინარე წელს მას კიდევ ერთი ბიზნეს-სუბიექტი დაემატოს გადამხდელად. გვყავს სხვა მსხვილი გადამხდელებიც. მოგეხსენებათ, რკინიგზელთა ქალაქ სამტრედიას საკვანძო ფუნქცია რამდენადმე შეეზღუდა. რკინიგზის განყოფილების გაუქმება მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვნად დაეტყო. მიუხედავად ამისა, 2 ათასამდე სამტრედიელი დღესაც ამ სფეროშია დასაქმებული და რკინიგზა ბიუჯეტს კანონმდებლობის შესაბამისად მაინც უხდის სოლიდურ გადასახადს. იგი როგორც საწარმოო ქონების, ისე არასასოფლო-სამეურნეო მიწის გადასახადის ერთ-ერთი მსხვილი გადამხდელია.

სხვათა შორის, არანაკლები თანხა შემოდის ბიუჯეტში აეროპორტების გაერთიანებიდან. მოგეხსენებათ, ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ადმინისტრაციული შენობა და დამხმარე ნაგებობები სამტრედიის, ხოლო ასაფრენი ბილიკი და ნავიგაციის შენობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზეა განთავსებული. ქონების გადასახადის მუხლისთვის ეს ფაქტორიც მნიშვნელოვანი შენატანია. ეს ყველაფერი საგრძნობლად დაეტყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებს.

**_ მოსახლეობასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის გამგებელმა იხუმრა, ერთ სოფელში, სადაც გზა დავაგეთ, მითხრეს, ეს პროექტები, თქვენ რომ ახორციელებთ, წინა ხელისუფლებამ დაგეგმაო. ამიტომ, რაც ამიერიდან ან სამომავლოდ შესრულდება, იცოდეთ ყველა ჩემი დაგეგმილიაო. ამ შეკითხვას იმიტომაც გისვამთ, რომ თქვენ წინა ხელისუფლებიდან მოჰყვებით ახლანდელ ხელისუფლებას _ რომელია ის პროექტები, წინამორბედებისგან რომ დახვდა "ოცნების" ხელისუფლებას?**

_ დავიწყებ იმით, რომ მე უკვე 21 წელია ვმუშაობ ქალაქში. მოწოდებით ვარ სამეურნეო დარგის მუშაკი...

**_ იმის ხაზგასმა გინდათ, რომ არც მხოლოდ წინა ხელისუფლებიდან მოსული ხართ და არც ხელისუფლებას მოყოლილი?**

_ ... არც ერთ ხელისუფლებას მოყოლილი არ ვარ! 21 წელია სხვადასხვა სტრუქტურაში საპასუხისმგებლო პოსტებზე, ძირითადად, სამეურნეო დარგში ვტრიალებ სამტრედიაში, მაგრამ ხელისუფლებაში არასდროს ვყოფილვარ. ასე იყო ყოფილი ხელისუფლების დროსაც, კომუნალურ გაერთიანებას ვხელმძღვანელობდი. თვითშეფასებისგან თავს შევიკავებ, ვერავის ვერაფერს გამოაპარებ და იციან სამტრედიელებმა, ვინ ვინ არის და ვინ როდის რას აკეთებდა. რაც შეეხება იმ პროექტებს, ადგილობრივ ხელისუფლებაში ამჯერად მყოფი გუნდი რომ ახორციელებს, ნურავინ დაიბრალებს. ჩვენ ამის გაკეთებას ვაპირებდით, დაგეგმილი გვქონდა, რესურსი მოძიებული იყო... ფუჭი სიტყვებია. მარტივად რომ ვთქვათ, 2014 წლის ივლისში, ადგილობრივ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის დროს, მომავალში განსახორციელებელი პროექტების არც ერთი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია არ დაგვხვედრია. არაფერს ვამბობ ფინანსური რესურსების მოძიებაზე, ფონდებზე და ა.შ. ამაზე ზედმეტია საუბარი.

**_ და რა იყო ის, რაც დაგხვდათ?**

_ გამგებლის დანგრეული ოთახი, თითქმის ამოწურული სოციალური პროგრამის ფონდი და ბევრი პრობლემა. საკმაოდ რთულ პირობებში მოგვიწია მუშაობის დაწყება.

**_ 21 წელია ვტრიალებ სამეურნეო დარგშიო, აღნიშნე. კომუნალურ გაერთიანებასაც ხელმძღვანელობდი, ერთ-ერთ წამყვან სამსახურს მუნიციპალიტეტში. თუ მხოლოდ პრობლემა პრობლემას ემატებოდა, იმ წლებში არ გქონდა რეაქცია? ან საკუთარი ინიციატივით მათი მოგვარების მცდელობა?**

_ არც ერთი ხელისუფლების დროს არავის მოვრიდებივარ საკუთარი აზრის გამოთქმისას. რომ ვთქვა, რადიკალური ვიყავი, არა! სამეურნეო დარგში, კერძოდ, კომუნალურ გაერთიანებაში ჩემი მუშაობისა და ხელმძღვანელობის დროს არაერთი პრობლემა მოვაგვარე. ვცდილობდი, შესაძლებლობის მაქსიმუმი გამეკეთებია.

**_ ასე იყო წინა წლებში და ასეა ახლაც. არჩევნების მოახლოებისას, ყველა ინფრასტრუქტურული თუ სხვა პროექტის განხორციელებას საზოგადოება წინასაარჩევნო მოსყიდვად მიიჩნევს, ოპონენტები კი სახელისუფლებო რესურსის წინასაარჩევნოდ გამოყენებაზე აპელირებენ. გრძელი სიტყვა მოკლედ რომ ვთქვათ, თუ "ოცნება" აბრალებდა "ნაციონალებს" წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას, ახლა სხვა ოპოზიციურ პარტიებთად ერთად "ნაციონალები" სწამებენ ამას მას...**

_ ეს არის საქმისადმი არაპროფესიონალური მიდგომა. ხელისუფლება ყოველდღიურად, ყოველწლიურად, ყოველკვირეულად უნდა აკეთებდეს საქვეყნო საქმეს, მოსახლეობისთვის საჭირბოროტო საკითხებზე უნდა იყოს აქცენტირებული. ხან სოციალური პროექტი განხორციელდება, ხან ინფრასტრუქტურული და ხან საგანმანათლებლო. იმისთვის, რომ წინასაარჩევნოდ სახელისუფლებო რესურსის გამოყენებაში არ ჩაგვითვალონ, არაფერი უნდა გავაკეთოთ? აბა, რისთვისაა მობილიზებული საბიუჯეტო სახსრები და რისთვის იღებენ ხელფასს საჯარო მოხელეები?! არამართებულ შენიშვნად მიმაჩნია, თუ ვინმე ამას იტყვის! კანონით გაწერილია, რომ არჩევნების თარიღამდე 60 დღით ადრე თუ რამე დაგეგმილი პროექტია, იმის განხორციელება შეიძლება, ან რას დაგეგმავ ახალს წინასაარჩევნოდ უკვე გაწერილ ბიუჯეტში?! მოქმედი კანონმდებლობისა და არსებული რესურსების ფარგლებში მაქსიმალურად ვახორციელებდით და ვახორციელებთ პროექტებს. 2015 არ იყო საარჩევნო წელი, მაგრამ ჩამოვთვალოთ რამდენი რამ გაკეთდა მუნიციპალიტეტში: დაიგო გზები, სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდათ საბავშვო ბაღებს და კიდევ ბევრი სხვა. ასე, რომ ეს ნორმალური მოვლენაა.

**_ დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სოციალური მედიით გავრცელდა ინფორმაცია, სამტრედიის ტერიტორიაზე ზოგიერთ მიტოვებულ შენობაში სამედიცინო ნაგავსაყრელის არსებობაზე. ეს ანტისანიტარიის განსაკუთრებით საშიშ კერად შეიძლება იქცეს მუნიციპალიტეტისთვის. თუ ხართ ინფორმირებული, რამდენად მოგვარდა ეს საკითხი? გარდა იმისა, რომ გამგებლის პირველი მოადგილე ბრძანდებით, "ჯეოჰოსპიტალსში" არ, ან ვერ პასუხობენ კითხვებს.**

_ ბუნებრივია, ინფორმირებულები ვართ, საქმე სამტრედიის ტერიტორიას ეხება. თუმცა, სამედიცინო ნარჩენების შეგროვებას თავისი წესები აქვს. ამ საკითხებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი კურირებს და არა ადგილობრივი სამსახურები. რაც შეეხება კონკრეტულ ფაქტს, შესაბამისი დეპარტამენტის ჩარევით ფაქტი აღმოფხვრილია.

**_ მიმდინარე წლის ბიუჯეტის ამოწურვამდე ჯერ ისევ დროა. რა დარჩა დაგეგმილი და ამ დრომდე განუხორციელებელი პროექტებიდან დასაწყებ-დასამთვრებელი?**

_ რა თქმა უნდა, ინტენსიურად განხორციელდება ყველა პროექტი. წარმატებულად სრულდება სოციალური პროგრამები. წარმატებაში ვგულისხმობ არა იმას, რომ მომართვიანობამ იმატა ერთჯერად, სამედიცინო თუ სხვა პროგრამულ დახმარებებზე, არამედ იმას, რომ პროექტის ხელმისაწვდომობა გაუადვილდა მოსახლეობას. თუ ვინმე განგებ არ იტყვის, გამორიცხულია, პოლიტიკური შეხედულებების გამო, უარი ეთქვას ვინმეს. გასულ წელს მეტი თანხა იყო გაწერილი სოციალური პროექტებისთვის, ვიდრე მიმდინარე წელს. ეს არ ნიშნავს, რომ წელს ნაკლებია, და, პირველ რიგში, იმას არ ნიშნავს, რომ არჩევნების წინ პოლიტიკური შეხედულებების გამო დაიჩაგრება დახმარების მსურველი.

**_ არის ისეთი პროექტები, მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე აუცილებლად რომ უნდა განხორციელდეს და ვერ ხორციელდება?**

_ არის! არა მხოლოდ მე, მთელ ჩვენს გუნდს უნდა მაღალმთიან ზონაში გზები ბეტონის საფარით მოპირკეთდეს. თუმცა, ვერ სრულდებას ვერ ვიტყვი, არ არის გამორიცხული, მოკლე დროში შევიძინოთ შესაბამისი სახარჯთაღრიცხვო-საპროექტო დოკუმენტაცია და სახსრების მოძიებაზე ვიზრუნოთ. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წლიდან მასშტაბური სახე მიეცა სკოლამდელი დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს და 300 ათასი ლარი დაიხარჯა ამაზე ჯერ კიდევ ორი წლის წინ, წელს 120 ათასი ლარია გამოყოფილი ქალაქის პირველი, 190 ათასი ღანირის საბავშვო ბაღებისთვის. დღის წესრიგში დგას დაფნარის საბავშვო ბაღის საკითხი. ლაშა თევზაძის ქუჩაზე ამჯერადაც ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, მაგრამ მაჟორიტარი დეპუტატის ჩარევით, გამგებლის ძალისხმევით, მიმდინარეობს მოლაპარაკებები რკინიგზის დეპარტამენტთან, რათა აქ სასიამოვნო ინფრასტრუქტურული სიახლეები ჰქონდეთ. რკინიგზის დეპარტამენტთან იმიტომ, რომ ეს ბაღი წლების განმავლობაში რკინიგზის ბალანსზე იყო. გარდა ამისა, "გავბედეთ" და დავიწყეთ ფასადების მოწესრიგება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე. რუსთაველის ქუჩაზე სამუშაოები უკვე დაწყებულია და ამაზე მოსახლეობა ინფორმირებულია...

**_ მაგრამ ეს ქალაქის შემოსასვლელში, ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე. თვალსმოფარებულ დანარჩენ სამტრედიას რა ეშველება, აქვს ამგვარი პერსპექტივა?**

_ ნამდვილად არ ვაპირებთ მთავარი ქუჩით ამ პროექტის დასრულებას. შესყიდული გვაქვს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი თანხების მოზიდვით მის გაგრძელებას შევძლებთ.

**_ უკვე არაერთი წელია ქალაქისთვის მთავარ პრობლემად წყალკანალიზაციის სისტემის მოწესრიგება ითვლება...**

_ ბოლოსთვის მინდოდა ამ საკითხის მოტოვება, რადგან ეს მთავარი კი არა, უმთავრესი თემაა. წყალკანალიზაციის მოძველებული, ფაქტობრივად, ამორტიზებული ქსელი მიწისქვეშა კომუნიკაციების ხშირ დაზიანებას იწვევს, არ მუშაობს გამწმენდი ნაგებობა. არაერთხელ დაანონსდა, რომ საკითხის მოგვარებით მაჟორიტარი დეპუტატია დაინტერესებული. გერმანული ბანკის, KFW წარმომადგენლები სწორედ საკითხში გასარკვევად ჩამოვიდნენ სამტრედიაში. ხონის ტერიტორიაზე, სოფელ ქუტირში, საიდანაც სასმელ წყალს იღებს სამტრედიის მოსახლეობა, სათავე-გამწმენდი ნაგებობა დაათვალიერეს. აგრეთვე ნახეს საკანალიზაციო-გამწმენდი ნაგებობა. ცენტრალური ხელისუფლების ჩართულობით, აქტიურად ვმუშაობთ რეაბილიტაციისთვის საჭირო თანხების მოზიდვაზე. ეს არ არის ერთ ან ორ თვეში მოსაგვარებელი პრობლემა. იმედი მაქვს ამ პროექტის მოგვარებისა, რასაც ნამდვილად შეიძლება საშვილიშვილო ეწოდოს.

და გარდა ამ ყველაფრისა, პირადად ჩემი სურვილია, ვიცი ამ აზრზეა ადგილობრივი გუნდის ყველა წევრი, სამტრედიამ უდიდესი წიაღისეული სიმდიდრის, ბალნეოლოგიურ-თერმული წყლების წყალობით საკურორტო ზონის დატვირთვაც დაიბრუნოს თუ შეიძინოს. ეს სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის. მოგეხსენებათ, თავის დროზე ფუნქციონირებდა კიდეც ჩვენთან ბალნეოლოგიური კურორტი და მისი აღდგენა განსაკუთრებით დიდ შემოსავალს მოუტანს მუნიციპალიტეტს. გარდა ამისა, სოფელ გორმაღალში გვაქვს სამკურნალო წყლები, ზედდართული სამკურნალო ტალახით. წლების წინ იქაც იყო კურორტი. აი, ამ ორი ობიექტის აღდგენა, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია სამტრედიისთვის.

# წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ტაძრის მშენებლობა გრძელდება

ნინო ნანიტაშვილი

ხელოსნები უკვე დაპურებული ჰყავს. ჭურჭელს აალაგებს და ხვალინდელი დღის სადილზე ზრუნვასაც დაიწყებს. სახლში წასვლამდე მშენებლებს მორიდებულად სთხოვს, ხარაჩოებზე ასვლის ნება დართონ და რამდენიმე აგურის დადების უფლებაც მისცენ. უფლის რწმენისა და ტაძრის სიყვარულის პარალელურად პროფესიული ინტერესიც ამოძრავებს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტს. თეონა ჩხაიძე მომავალი არქიტექტორი, ზაფხულის არდადეგებს მშობლიურ წიაღუბანში ატარებს და წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მშენებლობას სიამოვნებით დიასახლისობს.



28 ივლისამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი. ეკლესიის მშენებლობაზე დასაქმებულ ადამიანებს ჩაფიქრებული აქვთ, წმინდანების ხსენების დღისთვის ტაძარს რკინა-ბეტონის ქამარი შემოარტყან. თითქმის მთელი სოფელია ჩართული. ძირითადად კი 4 კაცი მუშაობს. მერაბ გოგიტაძე, ნუკრი თევზაძე, შოთა კაცაძე და შაქრო ჩომახიძე საჭიროების შემთხვევაში ბიჭებს იშველიებენ და ისინიც უარს არ ამბობენ, ტაძრის მშენებლობაში თავიანთი წვლილი შეიტანონ.

ჩვენი ხუროთმოძღვარიაო, შაქრო ჩხაიძეზე მიმითითებენ. გამოცდილ ხელოსანს აქამდე ხესთან რომ შეხება ჰქონდა, ეკლესიაზე მშენებლობამ ქვაზეც არანაკლებ დააოსტატა.

2011 წლის 28 ივლისს წმინდანების, კვირიკესა და ივლიტას დღესასწაულზე თევზაძეების საგვარეულო შეხვედრაზე სოფელ წიაღუბანში წინაპართა სასაფლაოს მოპირდაპირე სამხრეთ გორაკზე მიწა ეკურთხა, ხონი-სამტრედიის ეპარქიის მმართველი მიტროპოლიტ მეუფე საბას ლოცვა-კურთხევით ტაძრის მშენებლობას საფუძველი ჩაეყარა.



ფინანსურად ბევრი ადამიანი შეეწია ტაძრის მშენებლობას. თუმცა ორ პიროვნებას განსაკუთრებულად გამოჰყოფენ: მთავარ დამფუძნებელს, მოსკოვში მცხოვრებ კახა თევზაძეს და ტელეკომპანია ''ზარის'' დირექტორს, ოთარ თევზაძეს.

გამოცდილი თვალი მაინც სხვა არისო და 21 ივლისს ოთარ თევზაძემ სოფელ წიაღუბანში ჯონი ნადირაძე იახლა. საკათედრო ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორს დათვალიერებისას უმნიშვნელო დეტალიც არ გამორჩენია.

სპეციალისტების დახასიათებით ბაზილიკის სტილის ტაძარი საკმაოდ ტევადია. მათი გათვლით ეკლესია წირვის დროს 150-დან 200 კაცამდე დაიტევს. მრევლისთვის კარგ ამინდში ვაკე და მოხდენილი ეზოც არ იქნება ურიგო.

პლინთუსის დასრულების შემდეგ კონქი მოეწყობა და შენობა დაიხურება და ჯერი შიგა სამუშაოებზე მიდგება.



## მეოხ გვეყავ წმინდანო!

***''მოძრაობა, მუშაკობა, მარადის მღვიძარება ამხნევებს ერს!''***

*ილია*

***უკიდურესი სიძაბუნის ჟამს უფალი ქართველ ერს მოუვლენს ხოლმე მხსნელს, წინამძღოლს, რომელსაც ძალუძს უფსკრულის პირას მყოფი ერი, მიძინებული ქვეყანა გადაარჩინოს, აამოქმედოს, შთაბეროს ძალი სიცოცხლისა, მუშაკობისა, მოძრაობისა.***

***ასეთ პიროვნებად მოევლინა სნებაშეყრილ საქართველოს მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებში ილია ჭავჭავაძე, რომელიც მალევე აღიარეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მამამთავრად.***

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენი ერის ცხოვრებაში არ მომხდარა მნიშვნელოვანი თუ უმნიშვნელო მოვლენა, დიდ ერისკაცს საკუთარი აზრი რომ არ გამოეთქვა, არ დაემტკიცებია ფაქტის, მოვლენის მცდარობა თუ მართებულობა.

მრავალმხრივი მოღვაწე იყო ილია ჭავჭავაძე: მწერალი, პუბლიცისტი, ახალი იდეების პატივისმცემელი, თეორეტიკოსი და პრაქტიკოსი.

ისევე მნიშვნელოვანი იყო მისთვის ბრძოლა ქართული ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ, როგორც მდინარეების დურუჯის, ალაზნის... სარწყავად გამოყენება და ქართული მიწების განოყიერება.

ხმალამოწვდილი იბრძოდა ერისკაცი ყოველგვარი დრომოჭმულის, სიძველის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში ბასრ მახვილს კალამი წარმოადგენდა.

გამოღვიძებისაკენ, მოძრაობისაკენ მოუწოდებდა იგი ერს ღრმა ძილით მიყუჩებულს, უნუგეშოდ შთენილს.

განუსაზღვრელია ილიას მოღვაწეობა სამწერლო ასპარეზზე.

მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის თითოეული მარგალიტი ფასდაუდებელი შენაძენია ქართული მწერლობისა, კულტურისა.

ბრძენია ხალხი, ერი.

ამაოდ არავის უწოდებს ერის მამას. ილიას კი უწოდა სრულიად სამართლიანად ქართველმა ერმა მამა ყოველთა ქართველთა.

თუმცა, აღმოჩნდა იმავე ერში არაკაცი, სამშობლოს მხურვალე სიყვარული რომ არ აპატია და მოხუცს ტყვია ესროლა.

ისევ დარცხვენილ ქართველს აღმოხდა _ წიწამურთან რომ მოჰკლეს ილია, მაშინ ეპოქა დასრულდა დიდიო. ასეც იყო.

...

დრო ვერაფერს აკლებს ილიას სახელსა და ნამოღვაწარს, პირიქით, მეტ სიცხადეს და სიცხოველეს სძენს.

1987 წელს ქართულმა ეკლესიამ ილია ჭავჭავაძე წმინდანად შერაცხა და ილია მართალი უწოდა.

მას შემდეგ ზეციურ წმინდანთა დასში დავანებული სული წმინდანისა კვლავ მის საფიცარ საქართველოს, სათაყვანებელ ქართველებს დასტრიალებს თავს და უფალთან შუამდგომლობს მათ.

წმინდა ილია მართალს (ჭავჭავაძე) 2 აგვისტოს იხსნებს ეკლესია.

***ლევან გაბეჩავა***





# სამრეკლო კომპლექსი შენდება

შენდება და როგორც აქამდე, არც ამჯერად შეაშინებთ აქ დასაქმებულთ სიცხე და სიცივე, ქარი, წვიმა, თოვლი.

ივლისის 25. საშინელი სიცხეა. წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი ჯონი ნადირაძე და მშენებლები დილაადრიან შედგომიან საქმეს.

_ მშენებლობა, ალბათ, ორ წელიწადში დამთავრდება, სიჩქარე საქმეს არ არგებს. აქ არა მარტო სამრეკლო, არამედ სამრეკლო კომპლექსი შენდება. პროცესის დასრულების შემდეგ ტაძრის ეზოში აქედან იქნება შემოსასვლელი, საეკლესიო მაღაზია, მცირე ზომის კარიბჭის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და სამრეკლო, აი, ეს კომპლექსი უნდა აშენდეს, რაც კიდევ უფრო სრულქმნილს გახდის საკათედრო ტაძარს. _ განუცხადა ''სამტრედიის მაცნეს'' ბატონმა ჯონი ნადირაძემ.

***ლევან გაბეჩავა***

# 08. 08. 08. გვახსოვს აგვისტო!

**ლევან გაბეჩავა**



9 წლის წინ აგვისტოს ცხელ დღეებში ისევ დაგვესხა თავს ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობელი.

დაგვესხა და იმ დღეებმა "უხვად მოიტანა ცრემლი და ცხედრები".

უკვე მერამდენედ!

საერთაშორისო საზოგადოებამ იმთავითვე დაგმო მომხდარი, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს მიმართ აშკარა აგრესიად, ნაცისრ, საყოველთაოდ აღიარებული კანონების დარღვევად შეფასდა.

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ერის ღირსეული შვილები, საჯიშე ვაჟკაცები ემსხვერპლნენ რუსულ აგრესიას.

თავგანწირვით იბრძოდნენ ქართველი მეომრები სისხლის ბოლო წვეთამდე. რუსის გენერალიც კი აღაფრთოვანა ქართველ მებრძოლთა ვაჟკაცობამ, ქუდი მოახდევინა და ათქმევინა: მეგონა, მთელი პოლკი გვებრძოდაო, არადა, 17 იყვნენ მხოლოდ ერთ ძველ შენობაში გამაგრებულები. "შინდისის გმირები" ამ წოდებით შევიდა ისტორიაში სამშობლოსათვის სიცოცხლის ზვარაკად მიმცემი 17 ქართველის გვარ-სახელი.

ვგმობთ რუსულ აგრესიას, თუმცა აშკარად ვმიჯნავთ ერთმანეთისგან შოვინისტურად განწყობილ რუსულ პოლიტიკოსებს მშვიდობისმოყვარე რუსი ხალხისგან და პატივს ვცემთ იმ მრავალსაუკუნოვან მეგობრობას ოდითგანვე რომ აკავშირებდა ქართველ და რუს ხალხს.

8 აგვისტოს ისევ მიაგებენ პატივს აგვისტოს ომში დაღუპულთა ნათელ ხსოვნას.

გმირებს არ ივიწყებენ გმირების სამშობლოში.

სამარადისო დიდება მათ!

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

***ლევან გაბეჩავა***



## C ჰეპატიტის საყოველთაო ტესტირება




ლოკაციის ადგილი ჭავჭავაძის ქუჩა, მე-4 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია. სპეციალური მიკროავტობუსი 26 ივლისის 12 საათზე და მედიკოსთა ჯგუფმა გამოკვლევა დაიწყო. აქციის შესახებ სამტრედიაში მოსახლეობა წინა დღით ინფორმირებული იყო. ვინაიდან 28 ივლისი C ჰეპატიტთან ბრძოლის საერთაშორისო დღეა, საქართველოში მიმდინარე კვირა ელიმინაციის კვირეულად გამოცხადდა. არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი გზის" ეგიდით სამტრედიაში საყოველთაო ტესტირება ჩატარდა.

მიზანი რეგიონის ზოგად პოპულაციაში C ჰეპატიტის დაავადების აღმოჩენა და ელიმინაციის პროგრამაში ჩართვაა. დღეისათვის მსოფლიოში C ჰეპატიტით ინფიცირებულთა, დაახლოებით, 170 მილიონი ადამიანია ინფიცირებული, რაც მსოფლიო მოსახლეობის 2,5%-ს შეადგენს. სხვადასხვა კვლევებზე დაყრდნობით საქართველო მიეკუთვნება C ჰეპატიტის მაღალი გავრცელების ქვეყნებს, მიჩნეულია, რომ მოსახლეობის 7% ინფიცირებულია, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ევროპასა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის.

***ნინო ნანიტაშვილი***



# ნეტავ, თქვენი თანაკლასელი ვიყო!

**თეა ბაბუნაშვილი**

ალბათ, ზღაპარი ასეთ სამყაროში იბადება, მერე რეალობად იქცევა და ყოველდღიურობად თენდება. ასე გათენდა ის დღეც იქ, გორდში, ასწლოვანი ხეების ჩრდილში ჩაფლულ დადიანების სასახლის ეზოში, ახალგაზრდული სიკისკასე მიწიდან მზეს რომ სწვდებოდა.

რაც სხვებმა გაიფიქრეს, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ ხმამაღლა თქვა: "ნეტავ თქვენი თანაკლასელი ვიყო." ეს მას შემდეგ, არაფორმალური განათლების პროგრამის ფარგლებში, გორდში მოწყობილ ახალგაზრდულ ბანაკში დილით ჩასულ სამტრედიელ ახალგაზრდებს საღამოს თავად რომ ესტუმრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროს მიხეილ ლეჟავასა და საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანთან ერთად.

როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს, პირველ ეტაპზე საქართველოს 14 მუნიციპალიტეტიდან 750 ახალგაზრდას უმასპინძლებენ გორდში. ხუთდღიანი სამი ეტაპი რამდენიმე ათას ახალგაზრდას მისცემს ინტელექტუალურად დასვენების შესაძლებლობას. ინტელექტუალურად, რადგან, გართობისა და რეკრიაციული დატვირთვის გარდა, მოწვეული ლექტორები მათ ლექციებს წაუკითხავენ სხვადასხვა თემაზე. სწორედ ლექტორის ამპლუაში კიდევ ერთი სამტრედიელი, ლალი თადუმაძე ვნახეთ გორდის ახალგაზრდულ ბანაკში. გავარკვიეთ, რომ უცხოელ ლექტორებთან ერთად ისიც ლექციის წასაკითხად იყო იქ, თემა სამოქალაქო საკითხები გახლდათ.

არაფორმალური განათლების პროგრამის ხელმძღვანელი გიგა გლუნჩაძე ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ გარდა წარჩინებული ახალგაზრდების შინაარსიანად დასვენებისა, ბანაკს სოციალური დატვირთვაც აქვს და ახალგაზრდები და სტუდენტები ამ კუთხითაც შეირჩნენ. თითო ნაკადზე 60 ბავშვი დაისვენებს გორდში. ისინი სამტრედიიდან სამ ნაკადად გაემგზავრებიან. ეს სწორედ პირველი ნაკადი გახლდათ.

სამტრედიელი ახალგაზრდების ლიდერი მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდა თანამშრომელი დათო მანჯგალაძეა, რომელსაც არაერთგზის ჰქონია მსგავსი დატვირთვით მუშაობის გამოცდილება. "თუმცა, სამტრედიიდან პირველი ბანაკია, რომელსაც ვხელმძღვანელობ. ძალიან კარგი ნაკადია, ჭკვიანი ბავშვებით დაკომპლექტებული. ვეცდებით, იმ სამი საგზურიდან, მილანში გასამგზავრებლად რომ არის განკუთვნილი, ყველაზე ცოტა, ერთი მაინც იყოს სამტრედიის." _ აღნიშნა მან. დიახ, მილანში გასამგზავრებელი სამი საგზური ამ ბანაკის უმაღლესი ჯილდოა სამი საუკეთესოსთვის.

"მადლობას ვუხდი პროექტის ორგანიზატორებს ასეთი კარგი ინიციატივისათვის. მათთან ერთად ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობას და გამგებელს საუკეთესო ორგანიზებისთვის. ჩვენ ვნახეთ რამდენად კომფორტულად და საიმედოდ არიან მოწყობილი ეს ბავშვები. ჩემს თაობას პიონერთა ბანაკები კარგად ემახსოვრებათ. ახლა დრო შეიცვალა და ახალგაზრდული ბანაკები გაცილებით ახლებური პრინციპებით ფუნქციონირებს. კარგი ინიციატივაა და მივესალმებით მის გაგრძელებას." _ ეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერი ფოცხვერიამ განაცხადა მას შემდეგ, რაც ბანაკის მონაწილე ახალგაზრდების თანაკლასელობა ინატრა.

გორდში ახალგაზრდულ ბანაკს გუბერნატორის მოადგილე პაატა ნადირაძეც ეწვია, რომელმაც აღნიშნა, რომ ამ დღეების განმავლობაში აქაურობის ხშირი სტუმარი იქნება, რადგან "ამჯერად იმერეთში უკეთესი ადგილი ნაკლებად მოიძებნება. აქ არის გულწრფელი სიცილი და ჯანსაღი სული ქვეყნის მომავლისა."

ბანაკის ყველაზე პატარა მონაწილე სამტრედიიდან დადა ახობაძე შთაბეჭდილებას გვიზიარებს: "პირველად ვიყავი ბანაკში. რა თქმა უნდა, მანამდეც ვიცოდი, მაგრამ ახლა უფრო უკეთ მივხვდი, რაოდენ მნიშვნელოვანი ყოფილა ინტელექტუალურ გარემოში მოხვედრა და ახალი მეგობრების შეძენა. ეს მნიშვნელოვანი იყო იმისთვისაც, რომ თავი დამოუკიდებლად გვეგრძნო. ხუთი დღის მანძილზე მქონდა შეგრძნება იმისა, რომ ჩემი თავის პატრონი თავადვე ვიყავი. ერთმანეთზე ვზრუნავდით და ეს საოცარი განცდა იყო. დაგეგმილი ღონისძიებები მარტო გასართობი არა, შემეცნებითად დატვირთულიც იყო. სამტრედიელებმა ორი მნიშვნელოვანი ტურნირი მოვიგეთ. ძალიან გამიხარდა, რომ ცეკვის დადგმაში მეც მივიღე მონაწილეობა."

ხუთი დღეც დასრულდა და გორდიდან ახალგაზრდული ბანაკის პირველი ნაკადი შინ, სამტრედიაში დაბრუნდა. დაბრუნდა დიდი წარმატებით. როგორც დათო მანჯგალაძემ აღნიშნა, 10 სექტემბერს გაირკვევა, ვინ იქნება მილანის საგზურის მფლობელი, მაგრამ ამჯერად სამტრედია 24 მუნიციპალიტეტს შორის საუკეთესოდ დასახელდა. გარდა ამისა, ორ მნიშვნელოვან ტურნირში, ინტელექტუალურ თამაშებსა და ფეხბურთში პირველობა არავის დაუთმეს. მშობლიურ ქალაქში დაბრუნებულებს მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე დავით ბახტაძე და გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი დახვდნენ, კულტურის სამსახურის უფროს ნატო მანჯგალაძესთან ერთად.

"გაგვახარა ცნობამ, რომ სანიმუშოები გახდით. მადლობა ამისთვის. ჩვენგან ყოველთვის გექნებათ დიდი მხარდაჭერა." _ მიესალმა მათ დავით ბახტაძე. "შენი მუნიციპალიტეტი რომ პირველია, ძალიან სასიამოვნო ამბად გასაგები სიახლეა. მართლა ძალიან მიხარია, ახალგაზრდები რომ არიან ამ წარმატების მომტანნი. ვისურვებდი, ეს ერთი კიდევ ათასად ქცეულიყოს." _ ლიზა კრავეიშვილი წარმატებას ულოცავდა ბანაკიდან დაბრუნებულ ახალგაზრდებს.

პიონერული ბანაკების გამოცდილება ახალგაზრდულ ბანაკებად იქცა. ერთი პრინციპის სხვადასხვანაირი დატვირთვა დროის ცვლილების ფეხდაფეხ ახლდება. ასეა თუ ისე, ახალგაზრდულმა ხმებმა სხვა დროის ჟრიამული შეიტანეს დადიანების სასახლის ერთ დროს მეფურად ახმაურებულ სინამდვილეში. კიდევ სხვა ნაკადებად წამოვლენ ახალგაზრდები და ნაცრისფერ რეალობას გააათასფერებენ.














# სამტრედიელთა საყვარელი რუსუდან ექიმი



**ნათია ნაცვლიშვილი**

***რუსუდან შენგელია-მესხი ჩვენი ქალაქის ღირსეულ ქალბატონთა გალერეას აგერ უკვე 90 წელია ამშვენებს. დიახ, ექიმობის მრავალწლოვანი ისტორია მისი სიმდიდრეა. სტომატოლოგი ქალბატონის ნათელ გონებას წლებმა ვერაფერი დააკლეს. იყო პერიოდი, ექიმი პაციენტების დიდ ლაშქარს საავადმყოფოდან გაისტუმრებდა და მერე სახლში, საექიმო კაბინეტის წინ იგივე რაოდენობის პაციენტი ხვდებოდა. დაუშრეტელ ენერგიას თანაბრად უნაწილებდა ოჯახსა და საყვარელ საქმეს. ასე გაზარდეს ქალბატონმა რუსუდანმა და მისმა მეუღლემ, ნიკოლოზ მესხმა ძალიან კარგი შვილები. განვლო ბობოქარმა, პროფესიული ზენიტის წლებმა, ახლა ჟურნალისტებთან ალბომების გადაშლის და მოგონებების გაზიარების დროა. თანაქალაქელთა სიყვარული არასოდეს დაჰკლებია პროფესიონალ ქალბატონს. ამ პატარა ქალაქში სიყვარული დიდი იციან, ამ სიყვარულმა მიგვიყვანა ასაკოვან ქალბატონთან სასაუბროდ.***

ჩვენს რესპონდენტს ძალზე თბილად ახასიათებენ ის ექიმები, რომელთაც მასთან ურთიერთობა გასულ წლებში ჰქონიათ. მათ შორის ერთ-ერთი, შპს "ზ. ბუაძის სტომატოლოგიური პოლიკლინიკის" დირექტორი, ქეთევან კახიანია. ქალბატონი რუსუდანი ზამთარს შვილებთან და შვილიშვილებთან, დედაქალაქში ატარებს, ზაფხულს კი _ მშობლიურ სამტრედიაში, ისევ საყვარელი ადამიანების გარემოცვაში. ამ ადამიანთა შორის ერთ-ერთი მისი ქალიშვილის მეუღლე, საუკეთესო მსახიობი დავით კვირცხალიაა.

"სკოლა რომ დავამთავრე და მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, მამა გარდამეცვალა, იმავე წელს ჩავირიცხე, სასწავლებელი დავამთავრე და მუშაობა დავიწყე, სტომატოლოგიური განყოფილების უფროსის, ბაბორა ბუაძის მოადგილეც ვიყავი, მისი გარდაცვალების შემდეგ _ განყოფილების უფროსი. ჩემი კოლეგების მეგობარი ვიყავი, ჩემს კაბინეტში უყვარდათ თავშეყრა, უბედნიერესი ვარ, რადგან ახლახან ჩემი კოლეგები სახლში ტორტით მესტუმრნენ... ადრე დავოჯახდი, ჩემი მეუღლე, ნიკოლოზი ამარაგებდა ავტომაღაზიებს. ოჯახში, სადაც ვცხოვრობთ, ცხოვრობდა ცნობილი სტომატოლოგი, მიხეილ დიდიძე. ის ჩემი ქმრის ბიძა იყო, გარდაცვალების შემდეგ მის საექიმო კაბინეტში მე გავაგრძელე მუშაობა, მან ბევრი რამ მასწავლა. ჩემი შვილი, ქეთევანი ქიმია-ბიოლოგია, ნინო კი, უცხო ენების სპეციალისტი. ნინოს 2 შვილი და 3 შვილიშვილი ჰყავს, ქეთის_ 2 შვილი და 2 შვილიშვილი. მიყვარს ჩემი სამტრედია, სულ გულში მყავდა იგი ჩახუტებული, არაერთხელ მიმოგზაურია რიგაში, ლენინგრადში, კიევში, ვილნიუსში..." _ იხსენებს განვლილ გზას რუსუდან ექიმი. ქალბატონი ქეთი კი იხსენებს, როგორი აქტიური იყო დედა, როგორ უყვარდა პროფესიის პარალელურად ხელსაქმე და კულინარია. _ ძალიან აქტიური და მოწესრიგებული იყო, არასოდეს დაუწუწუნია, დავიღალე და პაციენტს ვერ მივიღებო, აკითხავდნენ და მიჰყავდათ კიდეც ავადმყოფებთან, ახლაც ძალიან ენერგიულია, ის გვაწვდის ხოლმე ახალ ინფორმაციას ოჯახის წევრებს. დღემდე არ თმობს პოზიციებს. _ გვეუბნება ქალბატონი ქეთი. საუბარში ქეთევანის მეუღლე დავით კვირცხალია ჩაგვერთო: " თავიდანვე ჩემი სიდედრის მოწონებული პერსონაჟი ვიყავი, ამიტომ, ჩვენი დაქორწინებისათვის არც გაუწევია წინააღმდეგობა. ამ დიდებულ ოჯახში ძალიან კარგად მიმიღეს, გადასარევი სიმამრი მყავდა_ ნიკუშა მესხი, იმ ადამიანს არც შეიძლებოდა, სხვანაირი მეუღლე ჰყოლოდა. მინდა, მას დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო, ის ბავშვებს ძალიან უყვართ, ბედნიერი ქალია, უკვე მესამე თაობას მოესწრო."

# წამალთხანიდან თანამედროვე აფთიაქებამდე

**ლევან გაბეჩავა**

***1829 წლის გაზაფხულზე მეფისნაცვალ პავლე ციციანოვს გერმანელი ფარმაცევტისათვის ნება დაურთავს, თბილისში პირველი აფთიაქი (წამალთხანა) გაეხსნა.***

***დღითიდღე პოპულარული ხდებოდა ფლორა შენბერგის აფთიაქი და ფარმაცევტიც შეიყვარა ეროვნებითა და სარწმუნოებით ჭრელმა თბილისმა და მისმა შემოგარენმა. შეძლებული გლეხები თბილისში წამლების შესაძენად ხშირად ჩადიოდნენ და თურმე არც ფასები ყოფილა მაინცდამაინც მიუწვდომელი.***

***მერე ცხოვრება აღმავალი გზით წავიდა და აფთიაქებიც, როგორც იტყვიან, სოკოებივით მომრავლდნენ საქართველოში.***

***მომრავლდნენ, მაგრამ არა დღევანდელივით.***

დღეს ქვეყანაში, რეგიონში, სამტრედიაში ათობით აფთიაქია, მრავალფეროვან მედიკამენტებსა თუ ჰიგიენურ საშუალებებს, ბავშვთა საკვებს... რომ სთავაზობენ მომხმარებელს და არც მომხმარებლები არიან უკმაყოფილო მათი მომსახურებით.

მიუხედავად ჯანდაცვის სისტემაში არაერთხელ გატარებული რეფორმისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი კანონიერად უჩივის მაღალ ფასებს მედიკამენტებზე, არცთუ იშვიათად გავიგებთ, წამლისთვის ძლივსღა გვყოფნის პენსიაო და ა. შ.

არაა სადავო, აფთიაქები სამტრედიაში ყოველ ფეხის ნაბიჯზე რომ გვხვდება, საოცარია ჩვენი აზრით ის, რომ დღის ნებისმიერ მონაკვეთში ყველა აფთიაქში რიგია(?!)

რა გამოდის?

ერი ავადაა?

უეჭველად, არაა საამისოდ კვლევა საჭირო. რომ არა ეს პრობლემა, წამალი ფუფუნების საგანი არაა და ამდენად, სიამოვნებისათვის (ყოველ შემთხვევისთვის) არავინ იყიდის მას დღევანდელ ეკონომიკურად არასტაბილურ ყოფაში.

რა ვითარებაა კონკრეტულად აფთიაქებში მომართვიანობის კუთხით. ამ და სხვა საკითხში გასარკვევად რამდენიმე აფთიაქს ვეწვიეთ.

"ჩვენი აფთიაქი 2006 წელს გაიხსნა და ერთ-ერთი პირველი ქსელური აფთიაქი იყო სამტრედიაში.

მერე სხვა აფთიაქებიც გაიხსნა, კონკურენციამ მომართვიანობაზეც მოახდინა გავლენა, როგორც მოსალოდნელი იყო, იკლო მომართვიანობამ, თუმცა, მოსახლეობის ავადობის დონემ იმატა.

ჩვენს ქსელში არ მოქმედებს წამლების ნისიად გაცემის სისტემა". _ გვეუბნება "ავერსი I" მენეჯერი მაკა გელაზონია.

_ ჩვენი დაკვირვებით მომართვიანობის კლება-მატება სეზონურადაა მხოლოდ შესამჩნევი, ვერ გეტყვით, თანდათან მეტი და მეტი ადამიანი ხდება მომხმარებელი-თქო, რაც შეეხება ნისიას, ჩვენთან არ მოქმედებს. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" აფთიაქ "PSP" მენეჯერმა ლიკა შენგელიამ.

უინტერესო არც მომხმარებელთა აზრი იქნებოდა ალბათ.

**ელენე ნინუა, 71 წლის, პენსიონერი:** "ავერსის" აფთიაქში ვყიდულობ წამლებს, ყველაფერი მაწუხებს, მაგრამ წნევას ვერაფერს ვუხერხებ. კარგია, რომ წამლების საშოვნელად, როგორც წინათ, გადამყიდველებთან არ გვიხდება რბენა და ხვეწნა-მუდარა, მაგრამ ფასების რა მოგახსენოთ, ფასები 180 ლარიანი პენსიონერისათვის ნამდვილად მაღალია წამლებზე."

**ვანიკო დოლაბერიძე, 16 წლის:** აქაური არა ვარ, აგერ მანქანაში ჩემი ოჯახის წევრები არიან, ბებიას სჭირდება ეს წამლები (დაწერილს გვიჩვენებს) და მე მთხოვა, მეყიდა, ასე რომ, ფასები მაღალია თუ არა მე ვერ გეტყვით.

**ზინაიდა ჟღენტი, 67 წლის, პენსიონერი:** აფთიაქში რომ წამალთა სიუხვეა, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ფასები ნამდვილად მაღალია, რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, გეთანხმებით, ამდენი აფთიაქი, მაინც რიგები, გამოდის, რომ ერი დაავადმყოფდა.

**ირა წიქვაძე, 75 წლის, პენსიონერი:** ნამდვილად ძვირია წამლები, თუ შედარებას გავაკეთებთ, კონკრეტულ მედიკამენტზე 1 წლის მანძილზე ფასები შესამჩნევადაა გაზრდილი.

რაც შეეხება რიგებს, რა თქმა უნდა, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ უფრო ბევრი ადამიანი საჭიროებს მკურნალობას, მაშასადამე...

**კაკო შარაშენიძე, პენსიონერი:** აგერაა აფთიაქი, შებრძანდი და ნახე, ძვირია თუ არა წამალი, რად გინდა, მე რომ მეკითხები?

**გურამ კაზაძე, 55 წლის, უმუშევარი:** ღმერთის წყალობით მე არ მჭირდება ჯერჯერობით წამლები, მაგრამ მშობლებს უნდათ, არ შეიძლება იყვნენ უწამლოდ და იძულებული ვარ, ვუყიდო. ძირითადად "PSP" მომხმარებელი ვართ, იაფი ნამდვილად არაა წამლები, მაგრამ რაღაც გათამაშებები რომაა ბლეფია ძმაო, "ავერსშიც" მქონდა ბილეთები, თანაც რამდენი იცი? მარა ვერაფერი მოვიგე, ეეჰ, რა ქნან, ვინმემ ვინმე თუ არ მოატყუა, ისე ბიზნესი არ იქნება!

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ რესპონდენტთაგან არავის გამოუთქვამს აზრი იმის შესახებ, რამდენად ხარისხიანია წამლები, ამდენად, პასუხი ამ კითხვაზე ისევ მკითხველთათვის მიგვინდვია, ისე კი ძალზე საინტერესოა (ნაწილობრივ ცხადია, ცნობილია), თუ რატომ გვირჩევენ ექიმები კონკრეტული მედიკამენტისათვის რომელ აფთიაქს უნდა მივმართოთ და ა. შ. მთავარი და უმთავრესი ისაა, რომ რის ვაი-ვაგლახით ნაყიდმა წამლებმა იწამლოს, სალბუნად დაედოს ავადმყოფთა სატკივარს და წყალში გადაყრილად არ იქნას მიჩნეული წამალში გადახდილი ფული.







## მადლობა ექიმს

ოჯახის ექიმი, სწორედ ჩემი ოჯახის ექიმია ქალბატონი **მზია საყვარელიძე**, (დიდი ჯიხაიშის საავადმყოფო), რომელიც დარსა თუ ავდარში საჭიროების შემთხვევაში ფეხით მოდის ჩემთან და ჩემს მეუღლესთან, რათა დროული სამედიცინო დახმარება აღმოგვიჩინოს.

გულისხმიერი მოსაუბრე, კვალიფიციური მკურნალია მზია ექიმი, ამავე დროს შესანიშნავი ოჯახი ჰყავს. მან და მისმა მეუღლემ სამშობლოს ორი განათლებული ვაჟკაცი აღუზარდა.

მადლობა მზია ექიმო ჩემი და ჩემი ოჯახისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისა და თანადგომისათვის.

*პატივისცემით შალვა ლომინაძე*

## ვისაც ლიტერატურა უყვარს

# „ღმერთთან ერთად მეხმარება გალაკტიონიც“



**ნათია ნაცვლიშვილი**

***რუბრიკის მთავარ სათქმელს აქა-იქ სავანგებოდ ავცდით, იმიტომ, რომ ჩვენი რესპონდენტის საინტერესო მოსაზრებები განათლების სფეროში არსებულ პრობლემებზე, მკითხველისთვისაც გაგვეზიარებინა. მუნიციპალიტეტის პირველი საჯარო სკოლის ფიზიკის პედაგოგი და სასწავლო ნაწილის გამგე ციური ხურცილავაა ჩვენი სტუმარი. ამიტომაც ინტერვიუს ბოლო პერიოდის "ხელიხელსაგომანებელი" ნიუსით ვიწყებთ. მათემატიკის 58-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადიდან საქართველოს ნაკრები საუკეთესო შედეგით დაბრუნდა. გუნდის წევრი, ოქროს მედალოსანი ალექსანდრე საათაშვილი კი სამტრედიელი მალხაზ ჯინჭარაძის აღზრდილია.***

_ დიახ, მეც ვიზიარებ ამ საყოველთაო სიხარულს. საერთაშორისო ოლიმპიადაზე ჩვენმა "შესანიშნავმა ექვსეულმა" მოიპოვა წარმატება. მათ შორის, მალხაზ ჯინჭარაძის აღზრდილმა ალექსანდრე საათაშვილმა ოქროს მედლით გაიბრწყინა. პირადად მე მალხაზ ჯინჭარაძესთან უშუალო შეხება არ მქონია, მაგრამ ვიცი, ძალიან ახალგაზრდა იყო, პედაგოგიური საქმიანობა რომ დაიწყო, ახლა კომაროვის სახელობის სკოლის წარმატებული პედაგოგია. რაც შეეხება ქართულ საბუნებისმეტყველო და მათემატიკურ სკოლას, ბატონმა გია დვალმა დაამტკიცა, რომ ძალიან კარგად გამოვიყურებით. ცერნში ბატონ გიასთან ერთად მუშაობს რამდენიმე ქართველი მეცნიერი, ისინი ჩვენი სიამაყენი არიან, გვყავნან ნიჭიერი და ერუდირებული ახალგაზრდები, საქართველოს არაერთხელ რომ წარმოაჩენენ სხვადასხვა ასპარეზზე მსოფლიოს მასშტაბით. ასეთ დიდ წარმატებას რომ მიაღწიონ, არამარტო ბავშვის გონებაა საჭირო, არამედ კარგი მწვრთნელიც, მაგრამ ის თანამედროვე პირობებში მარტო ცარცით და დაფით ვერაფერს გააკეთებს. გვჭირდება ტექნოლოგიები და ბაზა, ასეთ კარგ ბავშვებს დიდი მეცნიერებისკენ გზა რომ გავუკვალოთ. არაერთი წარმატებული აღვზრდია. ისეთი რომ გახდე, როგორიც გია დვალია, სჭირდება შრომაც, ნიჭიერებაც, ერუდიციაც, ხელის შეწყობაც... იმედი მაქვს, კიდევ არაერთხელ გაიბრწყინებენ ჩვენი ბავშვები საერთაშორისო ოლიმპიადებზე.

**_ მთავარ თემას მივუბრუნდეთ, ტექნიკური ბეგ-რაუნდის ქალბატონებს ლიტერატურა ნაკლებად ხიბლავთ. თქვენ როგორ იცავთ ბალანსს ტექნიკურ და მხატვრულ ლიტერატურას შორის?**

_ არ მხიბლავს-თქო, რომ გითხრათ, მოგატყუებთ, ახლაც დევს ჩემს მაგიდაზე გალაკტიონი, იმიტომ, რომ როცა ცუდ განწყობაზე ვარ, ღმერთთან ერთად მეხმარება გალაკტიონი, რომ ყველა სიძნელე გადავლახო. მიყვარს ძალიან ნოდარ დუმბაძე. გალაკტიონი დიდია, მწვერვალია, დუმბაძეს მას ვერ გავუტოლებთ, მაგრამ დუმბაძე მიყვარს იმიტომ, რომ გურულია, ძალიან მიყვარს იუმორი, ჩემს სულს და გულს ეხამება. არ ვიცი, რამდენჯერ მაქვს წაკითხული "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და "მზიანი ღამე". თანამედროვე ახალგაზრდებიდან მიყვარს დათო ტურაშვილი, მისი "გურჯი ხათუნი" ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. მთელი კვირა ვერ გამოვედი იმ შთაბეჭდილებიდან, რაც "ჯინსების თაობის" წაკითხვის მერე დამრჩა. ძალიან მიყვარს რატი ამაღლობელი. "ძალიან ჭკვიანი ახალგაზრდაა, თან სამტრედიული ფესვები აქვს... ჩემი სამაგიდო წიგნები იყო კონსტანტინე გამსახურდიას "დავით აღმაშენებელი", "დიდოსტატის მარჯვენა" და "ვაზის ყვავილობა."

**_ ფიზიკით გადაღლილი თქვენი მოსწავლეებისთვის მხატვრული ტექსტიდან ნაწყვეტი წაგიკითხავთ როდესმე? არაორდინალური გაკვეთილები გქონიათ?**

_ დირექტორმა საათების განაწილებისას სამი მეშვიდე: ა, ბ და გ კლასი მომაკუთვნა. პირველი გაკვეთილი, მოგეხსენებათ, განსხვავებული უნდა იყოს, ბავშვს მოტივაცია უნდა აუმაღლო, და აღუძრა სურვილი, ინტერესით გისმინდეს. რატომღაც ამ მესამე გ ჯგუფში სუსტ ნაკადს ველოდი, არადა, შევედი გაკვეთილზე, გადავხედე კლასს და გავოცდი, ღონისძიებებში მონაწილე ყველა ბავშვი აქ იყო! და გაკვეთილი დავიწყე გალაკტიონის ლექსით: "ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის, ფოთლები მიქრიან ქარდაქარ"... მერე ვუთხარი, რომ ქარი და წვიმა ბუნების მოვლენებია, რომელთაც სწავლობს ფიზიკა, იმდენად კარგი დასაწყისი გამოგვივიდა, რომ ამ ბავშვების 80 პროცენტი მართლა კარგად სწავლობდა.

ერთმა მშობელმა მითხრა, ჩემს შვილს ფიზიკის წიგნი უჭირავს ხელში, არ სჭირდება და ამ საგანს ნუ მოსთხოვთო. გული დამწყდა ძალიან, ფიზიკა ყველას სჭირდება. ვუთხარი, მე არ მოვთხოვ მას, მაგრამ ვერ დაგპირდები, რომ ის წიგნს ხელში არ დაიჭერს-თქო. ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე მაქვს ლირიული ჩანართებიც. კომუნისტების პერიოდში მასწავლებელი თუ იცინოდა, არ მეგონა, ახლა სხვა დროა. მასწავლებელი უნდა იყოს მსახიობიც, პოეტიც, ლიტერატურის, გეოგრაფიის და ბევრი რამის მცოდნეც... ვცდილობ, არ გავცდე გაკვეთილის მიზანს, ვატყობ, როდის რა აინტერესებს ბავშვს. თუ ვხედავ, თემა გაშლას მოითხოვს და ბავშვის ინტერესშია, დასვენებაზე ან გაკვეთილის შემდეგ ვსაუბრობთ.

**_ გყოლიათ გამაოგნებელად ნიჭიერი ბავშვები, უცნაური შეკითხვა რომ დაუსვამთ? არიან პედაგოგები, ასეთი ბავშვების რომ ეშინიათ და გაკვეთილისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან.**

_ არ მეშინია და იცით რატომ? 21-ე საუკუნეში მეცნიერება უმაღლეს სიმაღლეს აღწევს, მოსწავლეებს ვეუბნები: მე ვარ ერთი ჩვეულებრივი მასწავლებელი, რომელმაც თქვენზე უკეთ იცის ფიზიკა და სახელმწიფო მენდობა, გასწავლოთ ამ საგნის საფუძველი. პითაგორას დროს ერთი ადამიანი იყო საჭირო, რომ აეთვისებინა კაცობრიობის მიერ დაგროვილი მთელი ცოდნა. დღეს ერთ ნიჭიერ ადამიანს ერთი საგნის ბოლომდე ათვისება უჭირს. თუ დავაკმაყოფილებ ბავშვების ინტერესს, კარგია, არადა ვკითხავ ჩემზე ნიჭიერს და ჭკვიანს. ჯგუფში სუსტი ბავშვიც მყავს, არც იმ ბავშვის დაკარგვა უნდა მოხდეს, იმასაც ხომ აინტერესებს, ვთქვათ, ფეხბურთი ან მოტოციკლეტი, ზოგჯერ ვეტყვი: მოდი, ისეთ რამეს გეტყვი, რაც გამოგადგება-თქო. მასწავლებლობა დიდი პასუხისმგებლობაა, ცოტათი მსახიობიც უნდა იყო, თუკი შენი საქმე გიყვარს, არ შეიძლება, შედეგს არ მიაღწიო. ყველა ათზე ვერ ისწავლის ფიზიკას, მთავარია, სკოლიდან წასულ ბავშვს უყვარდეს თავისი ერი, ხალხი, მეგობარი, ადამიანს მხოლოდ მაშინ დახედოს ზემოდან, როცა მის წამოყენებას დააპირებს. ესაა ჩემი მიზანი, ასეთ მოსწავლეს თუ აღვზრდი, ეს მიხარია..

**_ ფრაზა ან რომელიმე პერსონაჟის სიტყვები, ცხოვრების სახელმძღვანელო დევიზად რომ გქცევიათ...**

"ყოველდღე რომ შენს თავს ჰკითხო, აბა დღეს მე ვის რა ვარგე" და "შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც ჩვენი ძმობის სიწმინდე ჯობია მუშნი". შენი საქმისთვის არ უნდა გაწირო სხვა, დღეს ხშირად გაიგონებ, გადააგდო, უმტრო... გადავხედოთ ჩვენს ისტორიას, ღალატმა დაგვღუპა.

**_ დიდი ბიბლიოთეკა გაქვთ?**

_ ჩვეულებრივი, როგორიც ყველგან გინახავთ...

**_ წიგნები გიჩუქნიათ ვინმესთვის?**

_წიგნებს ვჩუქნი ჩემს საყვარელ მოსწავლეებს.

**_წიგნების მაღაზიას ხშირად სტუმრობთ?**

_ დიახ, ახლა კლასიკოსებიდან თანამედროვე მწერლებზე გადმოვდივარ, ჩემი მოსწავლეები თანამედროვე პოეტებს კითხულობენ, ამას წინათ ფარადეიზე საუბრისას ერთმა მოსწავლემ მითხრა, ორჰან ფამუქის "უმანკოების მუზეუმის" გმირს ზუსტად ისეთივე ბიოგრაფია ჰქონდა, როგორიც ფარადეისო, _ მასწავლებელო, ხომ იცით, ამ წიგნში ასეთი ფრაზააო, მეუბნება მოსწავლე. ამ დროს მომისწრო ზარმა და გადავრჩი, სასწრაფოდ წავედი, ვიყიდე ამ მწერლის რამდენიმე წიგნი, აზიურ ცხოვრებაზე იყო, პალესტინელი ქალების ცხოვრებას ეხებოდა, ერთი ქალის ისტორია დაბადებიდან გარდაცვალებამდე იყო მოთხრობილი.

**_ უწიგნო დღე გქონიათ?**

_ ხშირად მიმიტოვებია ყველაფერი და წამიკითხავს რაიმე. სულიერ სიმშვიდეს ვგრძნობ, ვარ ჩაფლული მშვენიერების სამყაროში და იმ საზრდოს ვღებულობ, რისი მოცემაც სხვას არაფერს შეუძლია.

**_ რომელი ფიზიკოსები იყვნენ მრავალმხრივად ნიჭიერები?**

_ ლომონოსოვი, ფარადეი, ანრი ბეკერელი, მარია და პიერ კიურები ნობელის პრემიის ლაურეატები... ვერ იქნები კარგი მეცნიერი, თუ არ გიყვარს ლიტერატურა და თუ შემოქმედებითი უნარი არა გაქვს, მეცნიერიც ვერ იქნები....

**_ რეფორმირებული სკოლის დილემად რატომ იქცა რეპეტიტორი? მის გარეშე რატომ ვერ ახერხებს მოსწავლე, სკოლიდან გაიტანოს უმაღლესი სასწავლებლისთვის საჭირო ცოდნა? წიგნის კითხვის დეფიციტია ეს, განათლების თუ დისციპლინის?**

_ მე მწამს ჩემი პედაგოგიური საზოგადოების, ჩვენი სკოლის მაგალითზე გეტყვით, რომ ისინი არიან პროფესიონალები თავიანთი საქმის და იმავეს აკეთებენ სკოლაში, რასაც სახლში. რეპეტიტორთან სიარული მოდად და მშობლის ერთგვარ ახირებად მიმაჩნია.

**_ უნარები რომ არ ისწავლება სკოლაში?**

_ ეს არაა ის უნარები, მოსწავლემ აუცილებლად რეპეტიტორთან რომ უნდა ისწავლოს, უნარების მათემატიკურ ნაწილში შედის მათემატიკა, რომელიც ისწავლება 9 კლასის ჩათვლით, ვერბალურ ნაწილს რაც შეეხება, ეს ტექსტის გარჩევაა, ანალოგიები ლოგიკური კავშირისა და წინადადების აწყობა. ეს ყველამ უნდა მოახერხოს. მყავდა აბიტურიენტი, რომელმაც 1000-ს ვერ გამოაკლო 324, ნულს ოთხი რომ არ აკლდებაო? მითხრა. ვაუჩერიზაციის "დადებითია" ის, რომ ასეთი მოსწავლე შევინარჩუნო. მეთერთმეტეკლასელმა სიტყვების: აისბერგი, ჰორიზონტი და აბიტურიენტი მნიშვნელობა რომ არ იცის, მისი ადგილი უმაღლეს სასწავლებელში არ არის. მყავდა მოსწავლე, მარიამ თადუმაძე, რომელიც ახლა სასახელო სტუდენტია და ღირსეული ოქროს მედალოსანი, ის სადაც არ უნდა წავიდეს, მეცნიერებაში თუ პოლიტიკაში, მჯერა, თავის სიტყვას იტყვის! არიან ისეთებიც, ზემოთ რომ ვახსენე. ამდენი ლექტორმასწავლებლის ხელფასი დამოკიდებულია სწორედ ასეთ სტუდენტებზე. რატომ ვღებულობთ? ან არიან ისინი დასაქმებული, ან არა და მშობელია ქვეყნიდან გაქცეული მათ სარჩენად. სანამ ეს ტენდენცია იქნება_ ყველას შვილი უნდა იყოს სტუდენტი! არაფერი შეიცვლება! კაბინეტში დაჯდომა და მაღალი შემოსავალი სურს ყველას, შრომა არავის უნდა, გული მტკივა, თანამედროვე ახალგაზრდა არ უყურებს საქმეს ისე, როგორც საჭიროა.

**_ ამ გლობალიზაციის ნიაღვარში ხომ არ დავიკარგებით? როგორ ფიქრობთ...**

_ მთავარია, ჩვენმა მოსწავლეებმა არ დაკარგონ ტრადიციები, ყველაფერი ახალი ცუდი არ არის! ღმერთმა ნუ ქნას, ჩავიკეტოთ, ასეთი ღია საზოგადოება არ ყოფილა, ჩვენი მოსწავლე ახლახან იტალიასა და შვეიცარიაში სამოგზაუროდ იმყოფებოდა, ისეთ ადგილებზე გადაიღო ფოტოები, კადრში ბარომეტრი და ფსიქრომეტრი ჩანს, მიხარია, რომ სწორი აქცენტები გააკეთა. არ არის ცუდი გლობალიზაცია, კარის გაღება, სხვისი კულტურის გაცნობა, კარგი აიღე, ცუდს ნუ ჩამოიტან...

თუ პროგრესულობის განცდა არ აქვს მასწავლებელს, გაუჭირდება მოსწავლეებთან ურთიერთობა, გამოართვით ეს მობილურები, შიგ არიან ჩამძვრალნიო, იტყვის ზოგი. ისეთი უნდა იყოს გაკვეთილი, არ ჩაიხედოს მასში, გადაუღოს საქმიან მასწავლებელს ფოტო და განათავსოს სოციალურ ქსელში, კი ბატონო! ანგარიშობენ და სჭირდებათ მობილური ტელეფონი. პროგრესის არ უნდა შეგეშინდეს, ტექნიკური ცვლილებების და მომავლის თუ გეშინია, რა მასწავლებელი ხარ, თავად უნდა ასწავლო, რა სიტუაციაშიც არ უნდა მოხვდეს, როგორ იპოვოს სწორი გამოსავალი.

**_ პოეზია უფრო გიყვართ თუ პროზა?**

_ ორივე მიყვარს, 9-ის ნახევარზე რომ იწყებ ფიზიკით ან მათემატიკით და საღამოს გვიან ისევ რიცხვების კორიანტელით ამთავრებ დღეს, რაოდენი შვებაა, როცა გეძლევა საშუალება, მურმან ჯინორიას მონო-სპექტაკლს შენივე ქალაქში დაესწრო. ბოლო დროის გამონათებული სხივი რამდენიმე წლის წინანდელი ეს საღამო იყო. ჩემი მამა მუშაობდა რკინიგზის განყოფილებაში, მახსოვს, ბავშვობაში ქუთაისში თეატრსა და ოპერაში დავყავდი. ბიძაჩემი მუსკომედიის თეატრში მუშაობდა, ქუთაისში რომ ჩამოდიოდნენ, ჩემს სახლში გვსტუმრობდნენ ორკესტრის მუსიკოსები, სუფრა იშლებოდა... იმ ლამაზ კულტურულ სივრცეში დამაბრუნა მურმან ჯინორიამ. ასეთი ადამიანი უნდა ჩამოიყვანო და აჩვენო საზოგადოებას, ვერ გეტყვით რომელი ახალგაზრდული თეატრი გვსტუმრობდა ორი წლის წინ სპექტაკლით "ლექსი ვეფხისა და მოყმისა", ისეთი კარგი დადგმა იყო, გაგვიჩნდა განცდა, თითქოს ჩვენ ვიყავით ვეფხისა და იმ მოყმის დედები, შესანიშნავი ახალგაზრდები თამაშობდნენ, გაოცებული დავრჩი, სცენიდან გაუგონარი ემოცია მოდიოდა...

**_ ანალოგიური განცდა მეც გამიჩნდა რამდენიმე დღის წინ. ჩვენი კულტურის ცენტრის სცენაზე, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფმა აფხაზეთის თემაზე წარმოადგინა სპექტაკლი "ბოდიში, რომ ცოცხალი ვარ". შემეჩხრებულ დარბაზში ვინც ვიყავით, ყველა ვტიროდით. აბა, შორენა ბეგაშვილი მოეყვანათ, დაიძრებოდა სამტრედია...**

_ აი ეს არის, ნამდვილ კულტურას მოვწყდით და ვერ ვაფასებთ, ამაზე მწყდება გული, სიშიშვლე არ არის კულტურა, მაგრამ ისეთი ნიჭიერები მოდიან, არ დაიკარგებიან, საზღვარგარეთ გადიან, იმაღლებენ კვალიფიკაციას. დღეს ადამიანი ოჯახის გამოკვებაზეა გადართული, მაღალ იდეალებზე ველარ ფიქრობს, ტვინის გადინება ხდება საქართველოდან, ფიზიკური ძალისაც, დედებმა დატოვეს ოჯახები და ბავშვებს ხშირად ჩვენ ვუწევთ დედობას და ბებიობას, რთულად დასაძლევია ეს პერიოდი, მაგრამ მჯერა, მაინც შუქი ნათელი გამოანათებს, ერთი მწერლის ფრაზაა: საქართველო ყოველთვის იყო პატარა კუნძული სამტროდ ატალღებულ ოკეანეშიო. ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ, მწამს და მჯერა, არ დავიკარგებით, მაიას ტომივით არ გავქრებით.

# წავალ და მოგენატრებით

## წავიდა და მოგვენატრა, თანაც ძლიერ.

ლევან გაბეჩავა



*შემოდიოდა რედაქციაში და შემოჰქონდა იუმორი და სიდარბაისლე, ხალისი, სითბო.*

*უბრალო იყო, არ უყვარდა პომპეზურობა. როცა ვინმეს მის თავს გავაცნობდით: იცნობდეთ, ცნობილი პოეტი ნოდარ ადეიშვილია თქვენს წინაშე-თქო, მორცხვად ჩაილაპარაკებდა: მაბრალებენ ძვირფასო პოეტობასო, არადა, მართლაც კარგი პოეტი იყო, 20-ზე მეტი წიგნის ავტორი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, აკაკი წერეთლის ლიტერატურული პრემიის ლაურეატი.*

"სამტრედიის მაცნეს" რედაქციას მწერალთა კავშირს ეძახდა.

ციცქნა ლექსებსაც ხშირად სთავაზობდა მკითხველს და გაზეთის ერთგული თანამშრომელივით ყოველ სისხამ დილას განუყრელი საქაღალდით ხელში იჩქაროდა "სამსახურისაკენ".

იანვარი იყო, რომ გარდაიცვალა.

პატივი მიაგო სამტრედიის ინტელიგენციამ თანამემამულე პოეტს, იყვნენ მეგობარი პოეტები თბილისიდან, მაგრამ... მაგრამ მაინც ითქვა ასევე ცნობილი პოეტის, ლელა მეტრეველისაგან სიტყვები: საქართველოს შერცხვება დღევანდელი დღისო, ე. ი. უფრო ბევრნი უნდა ყოფილიყვნენ დაკრძალვაზე ქართული ლექსის ქურუმებიო, ამას გულისხმობდა ქალბატონი ლელა და სამართლიანადაც.

რაიონის სახელოვან შვილთა პანთეონში განისვენებს ნოდარ ადეიშვილი, ქუჩას, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა მისი სახელი ეწოდა.

ხსოვნა გრძელდება. ციცქნა წერილიც ამის ნათელ გამოხატულებად მივიჩნიეთ.

ნოდარ ადეიშვილის რამდენიმე ლექსს ვთავაზობთ მკითხველს.

### წავალ, სანთელს ავანთებ

წელან ისე დაღამდა,
ალბათ, არ გათენდება,
წავალ, სანთელს ავანთებ,
თუმცა, სანამ ენთება?
არც მზეს ძალუძს,
არც მთვარეს,
ამ ცის გამოკეთება...
ნანობს ჩიტი-ჩიორა,
გულში შემოფეთებას.

### ისევ მოდი

წუხელ მაინც მთვარის ეტლმა
რა ღვთის მხარეს გამიტყუა,
რანაირად წკრიალებდა
ვარსკვლავსა და ვარსკვლავს შუა...
საღამოზე
იმ წყაროსთან
ისევ მოვალ, ისევ მოდი...
ნეტავ არ დამძინებოდა,
ნეტავ არ დამსიზმრებოდი.

### დრომ მისი ჰქნა

დრომ მისი ჰქნა, უკვე არ ჩანს,
რა თეთრ ფარას ვედექ მწყემსად.
თქვენც ლამაზი მკერდი გაჩნდათ,
მეც ლამაზი თვალნი მესხა...
ახლა!
ახლა მიზეზ-მიზეზ
ვზივარ შინ და თბება წყალი,
გადასწიეთ ფარდა ისევ,
იქნებ, კიდევ მოვკრა თვალი

### არაგვის ჭალა

არაგვის ჭალა, თბილი საღამო,
ვაჟა და ვაჟას თამამი ჩრდილი,
თითქოს ლოცულობს, ცაო, მაღალო,
თუ ხარ ტკივილი, იყავ მალამოც,
არ მათქმევინო საწუთროს ძვირი,
ისე არასდროს არ დააღამო,
არ ეყოთ ბედი მამლების ყივილს.
არაგვის ჭალა,
თბილი საღამო,
ვაჟა და ვაჟას თამამი ჩრდილი.

### მზე ამოვა და ჩავა

წყალს მიაქვს სიზმრის კოშკებიც,
ცხადის ყანაც და ნალიაც...
კი,რახან გავჩნდი, მოვკვდები,
მაგრამ რა შენი ბრალია.
და მეც არაფერს გემდური, _
მზე ამოვა და ჩავა...
რა ვიყავ შეყვარებული,
შეძულებული რა ვარ!

### მამულს

შენ კი არა, ჩემი ეტლის
ამბავს თვითონ ველარ ვიტან,
მაგრამ მაინც ნუღარ მეტყვი,
ის რომ არ ვარ, ვინც შენ გინდა.
ისევ ვიწვი შენს კარებთან
ვალითა და სირცხვილითა,
რომ ამდენი მტერი გყავს და
ვკვდები ჩემი სიკვდილითა.

### ჩიორა

მერე რა, რომ უბრალო
ჩიტი იყო ჩიორა,
მერე რა, რომ მთელ ზამთარს
ციოდა და ჩიოდა...
მერე რა, რომ,
ჩემს გარდა,
აღარავინ მისტირის...
მოკვდა ალბათ საწყალი,
მოკვდა ისე, ჩიტივით.

## ერმილე თოფურია

***
დღე მილეული იყო. სევდიან
ცის უპეებში საღამო ესხა,
ნახევარმთვარე მოსჩანდა ისე,
თითქოს უჩქმიტეს ლოყაზე ზეცას...
***
ბალახი ნამის ენითა
ცას იხსენიებს ქებითა,
ზაფხული ჩამოკიდულა
კლდეზე ვით ჯიხვი რქებითა.
***
გავალე თვალი,
ჩემი სულის თეთრი სარკმელი
და დედის მზერა ღვივდებოდა
თითქოს ცივ მოლზე...
და დილა ჯერაც შეუბუმბულავი
სველი ბარტყივით
იჯდა ხის ტოტზე...
***
ისეთი დღეა ქარიანი და წვიმიანი,
თითქოს ზაფხული ცხელი ჩაივით
ესხას ლამბაქზე, და ვიღაც უცხო შეციებული
ხელის კანკალით ნელ-ნელა სვამდეს.
***
მზემ მოიწყინა ბაღების ჩრდილში,
თუ ყვავილებმა სულაც გათვალეს?!
პატარა ქალო, ეს შენი ღიმი
იქნება სულაც არაა შენი
და თეთრ პეპლებმა გამოგატანეს...
***
რანაირ დღეა მითხარი,
ცა დახშულია კარადა,
ერთი არ გაუღიმია
მზისგან აწყობილ ქნარადა.
შენი სახე რომ უჩვენო,
ია-იების თვალადა,
იქნებ მზემ ზეცა გააღოს
და გაგვიღიმოს დარადა...
***
კი არ დამწიფდა ჩემი ატამი,
უბრალოდ ხემ ასე გამოხატა
თავის აღტაცება, შენ რომ შემოგხედა...

# მადლობა "ლიბერთი" ბანკის სერვის-კონსულტანტ როზეტა თევზაძეს და ადმინისტრატორ ზურაბ კაკაბაძეს!

2017 წლის 17 ივლისს "ლიბერთი" ბანკში მივედი ბანკომატიდან პენსიის მისაღები ვიზა ბარათის, PIN კოდის გასააქტიურებლად. ბანკის შენობა სავსე იყო კლიენტებით. აქ დანერგილია მომსახურების თანამედროვე სერვისი: კლიენტი შესვლისთანავე იღებს ნომერს და ამ ნომრის ტაბლოზე დაწერამდე ელოდება რიგს. ნოვაცია კარგია. ამით თავიდან არის აცილებული კლიენტებს შორის დავა, თუ როდის დადგა ესა თუ ის კლიენტი რიგში. ქართული სულსწრაფობის გამო ხშირად იგი ჩხუბში ან უკეთეს შემთხვევაში აყალმაყალში გადაიზრდება.



ბანკის ოპერატორები ნერვიულობენ კლიენტებთან ერთად.

ახალ სერვისს კლიენტთა კმაყოფილება უნდა გამოეწვია, მაგრამ მალე გამჟღავნდა, რომ სანომრე აპარატის ელექტრონული პროგრამა, ხარვეზიანია თავისი რიგის მომლოდინე კლიენტი, რომელიც მიჩერებულია ოპერატორების თავს ზემოთ მოთავსებულ ელექტრონულ ტაბლოს და ელის თავისი ნომრის გამოჩენას, ხშირად მოტყუებული რჩება. ვთქვათ, თქვენი რიგითი ნომერი 100-ია. ყურადღებით აკვირდებით ტაბლოებს და ინაცვლებთ იქ, სადაც სავარაუდოდ უნდა გამოჩნდეს თქვენი ნომერი, მაგრამ ამაოდ. 97-ის შემდეგ იწერება 105. 98-ის შემდეგ _ 107 და 99-ის შემდეგ 108. თქვენ გაოცებული და აღშფოთებული ბრძანდებით, ხმამაღლა მოითხოვთ სამართლიანობის აღდგენას, მაგრამ ამაოდ. ტექნიკა მოლა ნასრედინის ვირივით ჯიუტია. ადმინისტრატორი ამაოდ ცდილობს აპარატის გასწორებას. უკვე 3 საათზე მეტია, რიგში ვდგევარ. უცებ ყველა ელექტრონული ტაბლო ითიშება, ჩაქრა რიცხვების მაჩვენებელი მოციმციმე ნათურები. კლიენტები, რომელთა 99% პენსიონერია, გაოგნებული და გათანგული არიან. ასეთ დღეში აღმოვჩნდი მეც. შაქრიანი დიაბეტი მაქვს და კვების რეჟიმს მკაცრად ვიცავ. ამ შემთხვევაში კი რეჟიმი უხეშად დავარღვიე. შედეგმაც არ დააყოვნა, კრიზი დამეწყო, ჩავიკეცე მაგრამ ვიღაც მადლიანმა ახალგაზრდამ ხელი შემაშველა და დარბაზში სკამზე დამსვა. ჩემთან მაშინვე გაჩნდნენ: ადმინისტრატორი ზურაბ კაკაბაძე, სერვის-ოპერატორი როზეტა თევზაძე და კიდევ სხვა ოპერატორები. მათი ყურადღებითა და დახმარებით მოვსულიერდი. მათ ჩემი პრობლემები ჩემს გარეშე მოაგვარეს.



ვიზა ბარათიც გამიაქტიურეს, ახალი PIN კოდიც მომაკუთვნეს და კუთვნილი პენსიაც ჩამაბარეს.

მინდა მადლობა გადავუხადო ადმინისტრატორ ზურაბ კაკაბაძისა და სერვის ოპერატორ როზეტა თევზაძის აღმზრდელ მშობლებს კარგი შვილების აღზრდისათვის.

დიდი მადლობა მინდა ვუთხრა კეთილშობილ ქართველებს, როზეტასა და ზურაბს!

მათი ქცევა, ქმედება სამაგალითო და მისაბაძია. გმადლობთ თქვენ ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო! მჯერა, თქვენ ბედნიერ ოჯახებს შექმნით და გაამრავლებთ ქართველობას!

თქვენ გაამთლიანებთ და გააბრწყინებთ საქართველოს!

გზა დაგელოცოთ ძვირფასებო! ღმერთი გფარავდეთ მუდამ.

დაბოლოს "ლიბერთი" ბანკის ხელმძღვანელობას ვთხოვ: შესაბამისი რეკლამაცია წარუდგინონ რათა მოაწესრიგონ რიგის მართვის სისტემა.

მადლიერი აზა მელქაძე

# „დავრწმუნდი, უკეთეს ჭადრაკს ვთამაშობ"

ნინო ნანიტაშვილი

***ბათუმის საერთაშორისო ფესტივალში 10 ქვეყნის მოჭადრაკეები თამაშობდნენ, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა იყო როგორც ქართველებით, ასევე უცხოელებით დაკომპლექტებული. დაახლოებით, 15-მდე დიდოსტატი თამაშობდა. იყო ძალიან დაძაბული ტურნირი, სადაც თორნიკე სანიკიძემ წაუგებლად მოიგო 5 პარტია და 4 ფრედ დაასრულა. ბოლოს კოეფიციენტით გაიყო პირველი-მეორე ადგილები.***

***"კოეფიციენტი კარგი მქონდა, თავიდანვე ლიდერებში ვიყავი და გავხდი ბათუმის მუნიციპალიტეტის თასის გამარჯვებული."_ ამბობს თორნიკე სანიკიძე.***

***"სამტრედიის მაცნე" წარმატებულ მოჭადრაკეს ამ დღეებში დაუკავშირდა და რამდენიმე კითხვით მიმართა.***

***ბათუმის სკოლა საკმაოდ ძლიერია, ყოველთვის ასე იყო. მომავალ წელს ევროპის ჩემპიონატი კაცთა შორის ტარდება. სხვადასხვა დროს აქ ჩატარდა შავი ზღვის ჩემპიონატი, გრან-პრი გაიმართა ქალებში. ბათუმში საკმაოდ დიდი ტურნირები ტარდება.***

**_ გამარჯვება იოლი იყო? "წაუგებლად მოგება" ძალიან კარგად ჟღერს...**

_ ღია საერთაშორისო ტურნირში, როდესაც თამაშობ, ნებისმიერ პრიზის მოპოვება უკვე წარმატებაა, იმიტომ, რომ კონკურენცია დიდია. იქ გამარჯვება ყოველთვის რთულია. აქედან გამომდინარე, მე-2 ადგილზე გახვალ, მე-3-ზე თუ მე-5-ზე, მაინც დიდ წარმატებად ითვლება თითოეული მოჭადრაკისთვის. ჩემპიონობა, ასე ვთქვათ, რთულია. ბევრი მუშაობა გინდა, წაგებული პარტიები უნდა გადაარჩინო. მე ამ ტურნირში რეიტინგით ვიყავი მე-4 ნომერი. ჩემს წინ იდგა სამი მოჭადრაკე, იმ სამიდან ათეულში მოხვდა სამივე, მაგრამ, არა სამეულში. სამეულში ქართველები გავედით. ბოლო გადამწყვეტი პარტია რთული იყო. გავიმარჯვე და საერთშორისო დიდოსტატი, საკმაოდ ძლიერი მოჭადრაკე ბაჩანა მორჩიაშვილი დავამარცხე, თუმცა თავიდანვე ლიდერებში ვიყავი, იმიტომ, რომ კარგი სტარტი მქონდა. პირველი თამაშიდან 2 მოვიგე და ერთი ყაიმით დავასრულე და აქ მეგონა, დავკარგე სადავეები. თუმცა შემდეგ ზედიზედ ორი გამარჯვება მოვიპოვე დიდოსტატებთან.

**_ წინ რა უძღვოდა ბათუმის საერთაშორისო ჩემპიონატს?**

_ ბათუმამდე იყო მნიშვნელოვანი წარმატებები. საქართველოს ჩემპიონატზე მე-4 ადგილი, ევროპის ჩემპიონატზე ვიყავი წასული ბელორუსში, ქალაქ მინსკში და იქაც საკმაოდ წარმატებით ვიასპარეზე, 400 მოჭადრაკედან ასეულში მოვხვდი. ბათუმში ჩატარდა სწრაფი ჭადრაკი, ბლიცში მეორე ადგილზე გავედი, რაც წარმატებად ჩაითვალა.

**_ მომავალი?**

_ აგვისტოში აბუდაბიში ტარდება ღია საერთაშორისო ტურნირები, მინდა, წავიდე და მივიღო მონაწილეობა, შემდეგ ოქტომბერში საფრანგეთში არის ჩემპიონატი კლუბებს შორის და იქაც მინდა ვითამაშო.

**_ ვინ არის თორნიკე სანიკიძე და რა არის მისთვის ჭადრაკი?**

_ ჭადრაკი ჩემთვის არის, ფაქტობრივად, ცხოვრება. იმიტომ, რომ ძალიან მიყვარს. 20 წელია, ვთამაშობ. ის არის ჩემთვის სიხარული, მწუხარება. 30 ქვეყანაში ვარ ნამყოფი. ჭადრაკმა ბევრი წარმატება მომიტანა. ყოველთვის მეხმარება ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებაში და ძალიან მიყვარს თამაშის პროცესი, მომზადება, მან მსოფლიო მასშტაბით ბევრი მეგობარი შემძინა.

**_ მეუღლე მოჭადრაკე, სიდედრი, სოფიო ტერელაძე, ცნობილი მოჭადრაკე. ოჯახის შექმნა, არჩევანი მომავალ მეუღლეზე, ჭადრაკი იყო ამის განმსაზღვრელი?**

_ ჭადრაკი რომ არა, ალბათ, ვერ გავიცნობდი ჩემს მეუღლეს, მარი თევზაძეს. ერთმანეთთან ჭადრაკმა დაგვაახლოვა. მარიამს ბავშვობიდან ვიცნობდი, დედამისთანაც ძალიან ხშირად მქონდა მეცადინეობები, მაშინ მარიამი პატარა იყო. რა თქმა უნდა, ჭადრაკმა თავისი როლი ითამაშა. დადებითი მხარე იმიტომ აქვს ამ ყველაფერს, რომ ერთ სფეროში მყოფ ადამიანებს, რაღაცნაირად იოლად გვესმის ერთმანეთის, შეიძლება, ერთი შემოხედვით გაიგონ ოჯახის წევრებმა, რა მინდა. მეუღლე მხარში აქტიურად მიდგას.

**_ როგორ დაახასიათებდით მეუღლეს, მარიამს, როგორც მოჭადრაკეს?**

_ ფოთში ჩატარდა ტურნირი, იქ მეც მივიღე მონაწილეობა და ჩემმა მეუღლემაც. 7,5 ქულა ავიღე, მეორე ადგილზე გავედი. მეუღლე ქალთა შორის ჩემპიონი გახდა. ერთი ბავშვი გვყავს, მეორეზე ფეხმძიმედაა და ცოტა რთულია მისთვის. დეკემბრის ბოლოს ჩატარდა ტურნირი კაცთა შორის, ჩემპიონი გახდა, 8 პარტია მოიგო და ერთი ფრედ დაამთავრა. ეს საკმაოდ დიდი წარმატებაა. სერიოზულად ვმეცადინეობთ.

**_ ხომ არ გინდათ, რაიმე დაამატოთ?**

_ გავმეორდები, ბათუმის ტურნირი ძალიან მნიშვნელოვანი ტურნირი იყო. მეორე ადგილზე თბილისელი გიორგი სიბაშვილი, ხოლო მესამეზე ქუთაისელი გიგა ყუფარაძე გავიდნენ. ვულოცავ მათაც ამ წარმატებას. ბათუმში მომავალშიც ჩატარდება ტურნირი. ვეცდები, ჩემი მხრიდან გულშემატკივარი გავახარო. 600 მქონდა რეიტინგი, 5 წლის წინ უფრო მეტი მქონდა, ბოლო დროს რაღაცნაირად იყო ჩავარდნები. ბათუმისა და ფოთის ტურნირების შემდეგ დავრწმუნდი, რომ უკეთეს ჭადრაკს ვთამაშობ.



# ბერძენი ანესტი სიტმალიდის ოჯახის ისტორია

*ვისაც უყვარს საკუთარი ქალაქი, აინტერესებს მისი ისტორია, პოლიტიკური და სოციალური საკითხები და რაც მთავარია, იმ ადამიანებისა და მათი ოჯახების ისტორია, ვისაც გარკვეული წვლილი მიუძღვის სამტრედიის მშენებლობაში, იყვნენ მისი პირველი გზამკვლევები, ასეთები საკმაოდ ბევრია. მათ შორისაა ჭეიშვილების, რევიშვილების, მამფორიების, ნიკურაძეების, შანიძეების, ჯანელიძეების, გელეიშვილებისა და კიდევ ბევრი სხვა ოჯახი. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რამდენიმე ხანში ქალაქის დაარსებიდან **150** საიუბილეო წელი სრულდება, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ამ ოჯახების ისტორიების გაშუქება.*

*ამ კუთხით საინტერესოა თურქეთიდან სამტრედიაში დევნილი ბერძენის, ანესტი სიტმალიდის, ოჯახის ტრაგიკული ისტორია. პიროვნებისა, რომელმაც თავისი სახსრებით ააშენა პურის საცხობი ქარხანა (იგი ბოლო დრომდე ფუნქციონირებდა), რომლის დირექტორიც თვითონ იყო. შემდგომში კი, ტრაგიკული მოვლენების შედეგად, ოჯახის წევრებთან ერთად შორეულ ყაზახეთში გადაასახლეს, სადაც, სამწუხაროდ, გარდაიცვალა. საბედნიეროდ, მისი შთამომავლები, შვილი და რძალი _ მიშა სიტმალიდი და სვეტლანა სანდოპულო ცოცხლები არიან და ძალზე საინტერესოდ მოგვითხრობენ საკუთარი ოჯახის ისტორიას.*

თამაზ მიქაძე

ერთი საუკუნის წინ თურქეთის ტერიტორიაზე ამოხეთქილ ათწლიან (1912-1922 წ.წ.) "ცუნამს" თავდაღწეული ანესტი პანაიოტის ძე სიტმალიდი ცოლშვილთან ერთად საქართველოს საზღვრებს მოადგა. საქართველოში მრავალი ბერძენი ლტოლვილი სახლობდა.

პონტოს სანტიდან სამტრედიამდე სავალი გზა საკმაოდ ძნელი და ხიფათიანი იყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარს მშობლიური მიწის სიყვარული ჩამოჰყვათ სამტრედიაში. სიყვარული და სინანული გადახლართულიყო ერთმანეთში. ბედისწერამ მოაშორათ მიწა-წყალს, სადაც გაატარეს ცხოვრების საუკეთესო წლები.

ღრუბელმა გადაიარა. თოთხმეტი წლის მანძილზე ცხოვრებამ დავიწყებას მისცა ცრემლით გაჟღენთილი პური, უკან მოიტოვა ცრემლით დანამული ბალიშიც.

მიშა (გიორგი) სიტმალიდის ოჯახში დღესაც ინახება იმდროინდელი შავ-თეთრი სურათი. მშობლებს შვილები შუაში ჩაუსვამთ. ათი წლის მარიკა ძმის გვერდით დგას, შვიდი წლის კირა დედას მიტმასნია. მამა უმცროსის, ღოღულის (ასე ეძახდნენ მშობლები მიშას ბავშვობისას) უზის გვერდით და სიყვარულით სავსე სევდიანი ღიმილით ამხნევებს ოჯახს.

ახალი დილა თენდება ამ უკვე სამშვილიანი ოჯახისათვის, დილა იმედით სავსე. ბატონმა ანესტიმ და ქალბატონმა პართენა ასლანიდმა ერთ მუშტად შეკრეს ოჯახი და მოემზადნენ ცხოვრების სიძნელეების გადასალახად.

ბატონმა ანესტიმ სამტრედიაში პურის ცხობას მოჰკიდა ხელი. მან ეს საქმე ჯერ კიდევ სანტიდან იცოდა.

ბერძენი მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის პური სიცოცხლის, სიკეთის, იმედის წყარო, ქრისტე ღმერთის სხეულია. მორწმუნე ანესტი ყველა ღონეს ხმარობდა, რომ პური დიდსა თუ პატარას, ღარიბსა თუ მდიდარს შეხვედროდა. უბრალო ხალხისთვის ცხოვრების პირობები ძალიან ძნელი იყო (შიმშილი, ავადმყოფობა, უწამლობა).

ფურნე, გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დასაწყისში ეროსი მანჯგალაძის სახელობის თეატრის მახლობლად იდგა. იქვე იყო ბაზარიც. რამდენიმე წლის შემდეგ ბაზარი ახალ ადგილზე გადაიტანეს, იქ, სადაც დღეს არის. მალე პურის საცხობიც ახალი ბაზრის მახლობლად ააშენა ბატონმა ანესტიმ.

ქუთაისიდან ფურნის მშენებელი ოსტატები ჩამოიყვანა. ქვაზე მომუშავე ბერძენ ოსტატებს ოჯახში მასპინძლობდნენ.

ბატონ ანესტის ფურნისთვის ფქვილი, ზეთი, მარილი, საწვავი მასალა დროზე უნდა მოემარაგებინა. საფუარის გამოყვანა კი არც ისე ადვილი იყო, მაგრამ რისი პურისმცხობელი იყო ანესტი, რომ ეს არ სცოდნოდა?!

ოჯახის საქმეს ქალბატონი პართენა უძღვებოდა. ეს თხუთმეტი წელი ხელმომჭირნეობისა და თადარიგის წლები იყო. სიტმალიდებს უკვე შეეძლოთ, აქ დასახლებულიყვნენ. ლენინის ქუჩის მეოთხე შესახვევი, №8 გახდა ახალი მისამართი ამ ნაჯაფ-ნაწვალები ოჯახისა.

ღვთის ნაბოძებ ბედნიერებას ადამიანის ენა ვერ აღწერს. სანტელ-სამტრედიელ წყვილს უხმოდ, უენოდ ესმოდათ ერთმანეთის. ქალი ქმარს რიდითა და მოკრძალებით ექცეოდა. შვილები გრძნობდნენ დედისა და მამის უსაზღვრო სიყვარულს მათდამი. ხვდებოდნენ იმასაც, რომ რაღაც დიდი განსაცდელი ჰქონდათ მშობლებს გადატანილი.

სამტრედიაში თავდაპირველად ახობაძეებთან ცხოვრობდა ანესტის ოჯახი, შემდეგ რუხაძეებთან. ახალი საკუთარი სახლის ერთ ოთახში გადმოიბარგა ხუთმა ადამიანმა. ო, რა ბედნიერი დღეები იდგა. სიხარულს სიხარული მოსდევდა, ბავშვები საკუთარი სახლიდან მიდიოდნენ სკოლაში, საკუთარი მეზობელ-მეგობრები გაუჩნდათ.

ქალბატონმა პართენამ შინაური პირუტყვი და ფრინველიც გაიჩინა. გოგონებმა ყვავილები დარგეს ეზოში, აიყვანეს აბრეშუმის ჭია. ლილის არტელიდან ლილა ტომრებით გადმოზიდეს, პატარა ტომსიკებში კოვზით ჰყრიდნენ, ეტიკეტს აკრავდნენ და ყუთებში აწყობდნენ.

"მოსაღამოვდებოდა თუ არა, ამხანაგებს გადავძახებდი და ზღაპრის მოყოლას დავიწყებდი, _ ათეული წლების შემდეგ იხსენებდა კირა, _ მოიყრიდნენ თავს ვაჟიკო და ეთერ მანჯგალაძეები, ცუცა და ბუჭუნა რევიშვილები და სხვები და იწყებოდა მუშაობა". კირას ზღაპარი საქმის დამთავრებამდე არ სრულდებოდა. გოგო-ბიჭების სიცილ-კისკისი დიდხანს ისმოდა სიტმალიდების ოჯახიდან.

ერთ მუშტად შეკრულმა ხუთმა ადამიანმა გააძლიერა, გაახალისა ოჯახი. ისინი ახლა "ცუნამს" გადარჩენილ ლტოლვილებს აღარ ჰგავდნენ.

ანესტი სიტმალიდის სახელმა აჭარის სოფელ აჭყვამდე იოლად მიაღწია (მთელი სოფელი თითქმის ლტოლვილი ბერძნებით იყო დასახლებული). აჭყველი ნაცნობ-ნათესავები შაბათ-კვირას სამტრედიის ბაზარში ჩამოდიოდნენ სავაჭროდ. ღამეს სიტმალიდების ჯერ კიდევ დაუმთავრებელ სახლში ათევდნენ. "უჭირს ხალხს, სალხინოდ ხომ არ მოდიან", _ იტყოდა ანესტი და სახლში მისი დასაწოლი ადგილი რომ არ მოინახებოდა, ისევ ფურნეში მიდიოდა. "უწმინდესი იყოს შენი და შენი ოჯახის მფარველი", _ დალოცავდნენ სტუმრები. "ღმერთია ყველას შემწე და მოწყალე", _ იტყოდა ანესტი გულში და ჩუმად პირჯვარს იწერდა.

სიტმალიდების სიმდიდრე შვილების ჯანმრთელობა იყო, გადატანილ სიმწარეს საკუთარ თავსაც არ უმხელდნენ. შვილებს შეჰხაროდნენ, სიკეთეს თესავდნენ მეზობელ-მეგობრებში, თანამემამულეებში, როგორც და რითაც შეეძლოთ.

ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს ხატები ქალბატონ პართენა ასლანიდს

# გენო გეგეშიძის გახსენება



საქართველოს დამსახურებულ ექიმს, უმაღლესი კატეგორიის კარდიოლოგს, ჭეშმარიტად სახალხო მკურნალს _ ბატონ გენო გეგეშიძეს 21 ივლისს 85 წელი შეუსრულდებოდა.

ბატონი გენო უდიდესი პროფესიული ავტორიტეტით სარგებლობდა როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. მიუხედავად არა ერთი შეთავაზებისა კარიერული წინსვლა გაეგრძელებინა დიდ და სახელგანთქმულ კლინიკებში, არასდროს უფიქრია მშობლიური სამტრედიის დატოვება, რადგან იცოდა, აქ უფრო საჭირო იყო თანამოქალაქეებისა და კოლეგებისთვის.

ბატონი გენო თავისი ერუდიციით გამორჩეული და ფართო საზოგადოებრივი ინტერესების მატარებელი პიროვნება გახლდათ, რომელიც მუდამ იდგა მშობლიური რაიონის ცხოვრების ეპიცენტრში და მისი ტკივილითა და სიხარულით ცოცხლობდა.

ძნელია, სრულყოფილად წარმოაჩინო ამ დიდი პიროვნების განვლილი წლები, ძნელია, ილაპარაკო წარსულზე, მაგრამ აუცილებელი, რადგან მომავალმა თაობებმა უნდა იცოდნენ, რომ ამ ქალაქში ამაყად დააბიჯებდა სამაგალითო მოქალაქე, პატრიოტი, უანგარო ექიმი, შესანიშნავი მეგობარი და მასწავლებელი _ გენო გეგეშიძე.

**უმცროსი კოლეგა და მეგობარი**
**ზაზა ვაშაკიძე**

დიდი ჯიხაიშის № 1 საჯარო სკოლის დირექცია, პედკოლექტივი, ტექპერსონალი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ქალბატონი

**ნანი კაჭახიძე-ფხაკაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.



## ჯონი ჯოჯუას ხსოვნას!

მალე 40 დღე შესრულდება შენი გარდაცვალებიდან. გვაკლიხარ შენს უახლოეს მეგობრებს.
ნათელი დაგიმკვიდროს უფალმა!

**ბეჟან გოგია**

---

ჩვენი ოჯახის უსაყვარლესო მეგობარო, ღირსეულო სამტრედიელო, უერთგულესო ადამიანო, შენს გახსენებას ყოველთვის მონატრება და ტკივილი ახლავს. ისლა დაგვრჩენია, სინანულით მოგიგონოთ და შენს ერთგულ მეუღლეს, ქეთის, შევუმსუბუქოთ შენი ამქვეყნიდან ნაადრევი წასვლა.
უფალი ფარავდეს შენს სულს!

**ნინო ნანიტაშვილი და ბადრი ვაშაკიძე ოჯახით**

# ფრიდონ ღაღანიძის გახსენება

10 წელი გავიდა ფრიდონ, ჩვენო უსაყვარლესო ძმაო! ჩვენ ხომ სამი ძმა ვიყავით და ყოველთვის ვამაყობდით იმ დიდი სიყვარულითა და თანადგომით, რომლითაც ვხასიათდებოდით. ამ სიყვარულში შენ ყოველთვის ტონის მიმცემი იყავი.

შენი გული უამრავ სითბოსა და სიყვარულს იტევდა. შენ ყოველთვის გაჭირვებულთა დამხმარე და თანამდგომი იყავი და ამას, რაც მთავარია, უხმაუროდ აკეთებდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნისათვის ყველაზე რთულ პერიოდს დაემთხვა შენი ახალგაზრდული ცხოვრება, უამრავი ადამიანი იხსენებს მათ დასახმარებლად შენს მიერ გაწვდილ ხელს. აქტიურად იყავი ჩართული იმ წლებში ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში, განსაკუთრებულია შენი წვლილი საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის საქმეში. სწორედ შენი ინიციატივითაა, რომ ჩვენი ეზო ახლაც ყველაზე კეთილმოწყობილია ქალაქის მასშტაბით.



შენ განსაკუთრებული სიყვარული იყავი მშობლებისათვის, როგორც ყველა ნაბოლარა. შენმა დაკარგვამ გულდათუთქულ დედას პოეტურად ათქმევინა.

“ეს ცხოვრება ისეთია,
დაემსგავსა ეშმაკ ბაცილს,
სული კბილით რომ გიჭირავს,
მხოლოდ იმ კბილს ამოგაცლის’’.

**ძმები ავთანდილ და გივი ღაღანიძეები**

დულაბის უჯრაში ჰქონდა ჩაკეტილი. პარასკევს, ქრისტეს ჯვარცმის დღეს მარხულობდა და ხშირად პანაიას (ღვთისმშობელი) ახსენებდა. შაბათ-კვირას კი ხატებს სათუთად მაგიდაზე დაალაგებდა, დარაბებს დახურავდა, კანდელს აანთებდა და შესახვეწარს შეავედრებდა. პართენა ფიქრით სანტაში გადადიოდა. გულში სანთელს უნთებდა მშობლიურ მიწაში დამარხულ დედას, ძმას, მის პატარა გოგონას. ვერ ივიწყებდა თავისუფლებისათვის მებრძოლ თანამემამულეებს. ‘‘პანაია, პანაია’’, _ ჩურჩულებდა ქალი და ხატებს კრძალვით ისევ უჯრაში ჩაალაგებდა. შვილებს უფრთხილდებოდა. სხვა დრო იყო და სხვაგვარად უნდა მოევლო ოჯახისთვის.

ბატონ ანესტის შვილების მართო შეხედვა ჰყოფნიდა. უსაზღვრო ძალას მატებდა ოჯახი, ერთმანეთის მოსიყვარულე შვილები!

1935 წელმა უსიამოვნება მოუტანა სანტელ-სამტრედიელ წყვილს. ანონიმური წერილის საფუძველზე ბათუმის მილიცია დაადგა თავს ანესტის. ერთი თვე აწვალეს, ვერაფერი ნახეს ისეთი, რომ გაესამართლებინათ. შემდეგ მისი მეუღლე დაიბარეს: ‘‘ანესტი საბერძნეთში უნდა გადავასახლოთ და გამოეთხოვეო’’.

დანიშნულ დღეს ქალბატონი პართენა ნახევრად ბნელ ოთახში შეიყვანეს. არც ისე ცოტა დრო იყო გასული, რაც ცოლ-ქმარს ერთმანეთი აღარ ენახა, მაგრამ მაინც ვერაფერი უთხრეს ერთმანეთს.

ელადაზე ყველა ელინელი ოცნებობდა. ბევრი უკვე წასულიც იყო საბერძნეთში, ნაწილი გასამგზავრებლად ემზადებოდა. ვისაც წასვლის საშუალება არ ჰქონდა... ბატონი ანესტის პატარა ელენე აჭყვის მიწაში განისვენებდა. სამი ანგელოზი, ქართულ მიწაზე ქართველთა შორის, ქართველებად ჰყავდა აღზრდილი. იცოდნენ, რომ შვილებს გულზე ელადა ეწერათ, ისე როგორც ბევრ სხვა ბერძენს, მაგრამ სულით ქართველები იყვნენ და სამშობლოდ, დედა მიწად სამტრედია სცნეს.

ვის? ვის შეეძლო გაეკეთებინა ეს ანესტისთვის? თვალწინ გაიელვა ნაცნობმა და უცნობმა, ნათესავმაც...

გაიცინა ვიღაცამ...

შეხვედრას განშორება უნდა მოჰყოლოდა. ამას ვერ აიტანდნენ ალბათ. დრო ნელა, ძალიან ნელა მიდიოდა. ქუჩაში როგორ მოხვდნენ, არ ახსოვთ. ანესტის ხელში მეუღლის მოტანილი საჭირო ნივთებით სავსე პატარა ჩემოდანი ეჭირა, ორივეს ერთი და იგივე აწუხებდა: შვილები, შვილებს რა უთხრან? გულზე ხელი დაიდეს, პირჯვარი გადაიწერეს. ‘‘პანაია!’’ _ აღმოხდა ქალს და სახტად დარჩნენ. მართონი იყვნენ ქუჩაში, მართონი და თავისუფალნი.

სამტრედიელი მეზობლები და თანამშრომლები სიხარულით შეხვდნენ პურის მცხობელს. მოყვარე და მოყეთე მოემატა ოჯახს. გაოგნებული შვილები გამოერკვნენ, რაღაც ისევ დიდი სიძნელე გადაიტანეს მშობლებმა.

ღრუბელმა ისევ გადაიარა. საქმე ჩვეულებრივად ჩადგა კალაპოტში.

‘‘ფურნეში მამაჩემი ხშირად მგზავნიდა... _ იხსენებს ათეული წლების შემდეგ კარის მეზობელი დათუნა ჟორჟოლიანი, წუთით არ შემაყოვნებდა ანესტი ბიძია. პური გინდა, ჰო? _ გამომელაპარაკებოდა გატეხილი, მაგრამ საოცრად ტკბილი ქართულით და გამომიტანდა ცხელ-ცხელ პურებს. გახარებული ფრენით მივიტანდი პურს შინ’’.

სიკეთიდან სიავემდე ერთი ნაბიჯიაო, იტყვიან. ამჯერად სამტრედიელმა მტერმა ‘‘ჩააგდო’’ ბატონი ანესტი.

1937 წელს სამტრედიის მილიციამ დააკავა ეს შესაშური კაცი. ამჯერად ქალბატონი პართენა არ დაბნეულა, მიაკვლია ბერძენ იურისტს, რომლის დახმარებითაც დაწერა განცხადება და მიიტანა სამტრედიის მილიციის განყოფილებაში. დანაშაული კი არა, დაპატიმრების მიზეზიც ვერ ახსნეს. ორ დღეში ანესტი სახლში იყო...

მშვენიერია საქართველოში თებერვლის მზიანი და ნიავიანი დღე. სამტრედიაში ტყემლის ყვავილებიანი თავდახრილი ტოტები. თოვლის ფანტელივით მოფარფატე ტყემლის ყვავილების ფურცლები.

პეპლები და სუსხი? მარტია წინ. ავადმყოფობა (ჭლექი) ახლა იღვიძებს. უწამლობით იცელება განსაკუთრებით ახალგაზრდობა.

სიტმალიდების ოჯახში ყოველი დილა მიმზიდველია. შვილები იზრდებიან, მშვენდებიან. ჩვიდმეტი წლის მარიკა ფრიადებზე ამთავრებს ქართულ სკოლას. სათნო, კეთილი გოგონა ხშირად უკრავს პიანინოს, უყვარს მუსიკა, მაგრამ უფრო ქართული მხატვრული ლიტერატურა. მამამ ახალგამოცემული შოთა რუსთაველის ‘‘ვეფხისტყაოსანი’’ უყიდა. მარიკას იგი მაგიდაზე უდევს. ბევრი სტროფი ზეპირად იცის. ცქრიალა, ‘‘ალქაჯი’’, შავთვალწარბა ლამაზი კირა ოჯახის ამხმაურებელია. მიშა? ყველასათვის საყვარელი... რა უნდა ამაზე მეტი ანესტის?! გამრჯე და მზრუნველი მეუღლე ყველაფერს ასწრებს. ჩუმად ჩურჩულებს ლოცვას. სიბნელეში იწერს პირჯვარს ამ ულმერთო ქვეყანაში. კომუნისტები სხვას ამბობენ და სხვას აკეთებენ... ეს კი საშიშზე მეტია...

მარიკას თანაკლასელი და მეზობლად მცხოვრები ჟოზეფინა მეცხრე კლასიდან გაიპარა და გულის ტოლს გაჰყვა ცოლად. ცხრა თვის შემდეგ შვილი გააჩინა, დედა გახდა და ბედნიერი იყო, მაგრამ გაცივდა და...

სიტმალიდების ოჯახისათვის საბედისწერო აღმოჩნდა ჟოზეფინას გარდაცვალება. გულმა და ფილტვებმა უმტყუნა სათნო მარიკას. ერთი ექიმი ურჩევს ზღვას, მეორე მთას. წამალი ვერ მოინახა... ექვსი თვის ავადმყოფობის შემდეგ ანესტის უფროსი ქალიშვილი მარიკა ჩვიდმეტი წლის ასაკში გარდაიცვალა.

სიტმალიდების ოჯახი მარიკას გარდაცვალებამ გატეხა, გააოგნა, ყველა ფერმა ერთი ფერი მიიღო _ შავი. ყველა მწარე და ყველა ბედნიერი დღეც ბურანმა მოიცვა.

‘‘მარიკა, არ დამტოვო, წამიყვანე!’’ _ წლების შემდეგაც ჩურჩულებდა დედა.

‘‘ანესტი, კირა და მიშა გყავს მისახედი!’’ _ დროდადრო ახსენებდნენ მეზობლები შვილმკვდარ მამას. მარიკა სოფელ აჭყვის წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევების გვერდით მიუწვინეს პატარა ელენეს.

გულმკვდარი მამა ლოგინად ჩავარდა. უძილო, უსურვილო ანესტის ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. სასოწარკვეთილნი უიმედობას მიეცნენ. წუთიც და კირას რაღაც გაახსენდა (გაჭირვების დროს კირა ყოველთვის პოულობდა გამოსავალს). სწრაფად გავიდა სახლიდან და ახლად გაცნობილი თბილისელი ექიმის, თაქთაქიშვილის სახლისკენ გასწია, რომელიც იმხანად სამტრედიაში იმყოფებოდა... მას გაგონილი ჰქონდა ბატონი ანესტის მდგომარეობის შესახებ, მაგრამ კირას აკანკალებულმა ხმამ და დანამულმა თვალებმა მეტი უთხრეს ექიმს.

ექიმის რჩევებმა და დანიშნულმა წამლებმა ავადმყოფი ფეხზე დააყენა. ფურნის გამგე ჩვეულებრივად ჩაუდგა საქმეს სათავეში. ისევ ცხვებოდა სურნელოვანი პური სამტრედიაში. ახლა უფრო განურჩევლად ეხმარებოდა ანესტი დღისით და ღამით ადამიანებს, ობლებს, ავადმყოფებს, გაჭირვებულებს.



დადგა 1941 წელი, ქვეყნიერებისათვის უბედურების მომტანი. ბევრმა სამტრედიელმა დატოვა ცოლ-შვილი, დედმამა, დები... და წავიდა ომში სამშობლოს დასაცავად. გამოთხოვებისას პურისმცხობელს უხმოდ უბარებდნენ: ‘‘ცოლშვილს შენ გიტოვებ და აბა, შენ იცი’’. პასუხიც უხმო და დამაჯერებელი იყო.

‘‘ანესტი მთელ ქალაქს პურს აჭმევდა’’. _ იხსენებდა ათეული წლების შემდეგ მასწავლებელი ტატიანა გეგუჩაძე. ისტორიის გაკვეთილი ისე არ დაიწყებოდა, რომ ქალბატონ ტატიანას არ ეთქვას: ‘‘შენი ბაბუას გამომცხვარმა პურმა გამაზრდევინა ოთხი ვაჟი’’. _ იხსენებს სტასიკა (ანესტი) სიტმალიდი დღესაც.

ხმამაღლა და გრძნობით გამოხატავდა მადლიერებას ანესტი სიტმალიდისადმი ექიმი ნადია თარგამაძე: ‘‘ანესტის გამომცხვარი პურით გავზარდე ოთხი შვილი’’.

დრო გადიოდა. ზამთარს ზაფხული მოჰყვებოდა. ქალბატონი პართენა ქუთაისისა და ბათუმის ეკლესიებში დადიოდა. მარიკასა და ელენეს, წადილი, მარილი, ზეთი, ფქვილი, ღვინო ომში მიჰქონდათ დაღუპულთა, ნაცნობთა და უცნობთა მოსახსენებლად.

1945 წლის 9 მაისს ომი დამთავრდა საბჭოთა კავშირის გამარჯვებით. ზოგი დაბრუნდა შინ, ბევრიც _ არა, ზოგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ზოგს კიდევ

**სვეტლანა სანდოკულო**
**მიხეილ სიტმალიდი**

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



## ბატონ გრიგოლ (გია) მიქელაძეს!

დაბადების დღეს გილოცავთ ქვეყნისთვის და სამტრედიისთვის მოჭირნახულე ადამიანს, საქართველოს პარლამენტის აქტიურ დეპუტატს, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ. წარმატებები გიმრავლოთ საქმეში და კეთილდღეობა _ ოჯახში! აქვე გულწრფელად გილოცავთ ქალიშვილის ქალბატონი მაკას დაბადების დღეს!

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

პატივისცემით "სამტრედიის მაცნე"

## რატი გიორგაძეს!

ქრისტესმიერი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, 2 წლის შესრულებას, შევთხოვთ უფალს მოგანიჭოს მშვიდობა, ჯანმრთელობა და მრავალჟამიერ სიცოცხლე.

ახლობლები





22 222 დღე-ღამისა ხარ,

"დონ ლეონ", რა დაგმართნია!

პირველად 27 ივლისს

მთვარესთან მზემ გაათია.

# Belnatur-ი სამტრედიაში



სამტრედიელი ქალბატონები თავისთავად ლამაზები არიან, მაგრამ მათ (და არა მარტო) სილამაზეზე უკვე სამედიცინო ესთეტიკის ცენტრი Belnatur-ი ზრუნავს. მსოფლიო ბრენდის ფილიალები საქართველოში კარგა ხანია გაიხსნა. მე-7 ფილიალის სადღესასწაულო გახსნის ცერემონიას სამტრედიელი ქალბატონები დაესწრნენ. შპს "ბელნატურ ჯორჯიას" დირექტორი თეა ებრალიძე და ფილიალის მენეჯერი ლეილა კანდელაკი სტუმრებს იმ უახლეს სერვისებზე ესაუბრნენ, რასაც ცენტრი მათთან მომსვლელთ შესთავაზებს.

"სამტრედიის მაცნესთან" საუბარში ცენტრის მენეჯერმა, ლეილა კანდელაკმა, განაცხადა: "ეს ბრენდი მსოფლიოში წარმატებულია, უშვებს ძალიან მაღალი ხარისხის პროდუქციას, არავითარი ქიმია და ჰორმონალური პრეპარატები. ყველაფერი ნატურალურ პროდუქტებზეა დამზადებული. ჩვენთან დადიან ახალგაზრდებიც, შუა ხნისანიც, ცენტრი მაღალი ხარისხის მომსახურებით გამოირჩევა, გახსნის დღიდან სამტრედიელები იჩენენ დიდ აქტიურობას, გვსტუმრობენ ქალები, მამაკაცებიც. სარგებლობენ ლაზერული ეპილაციითაც და სახის გაწმენდითაც, რითაც აღფრთოვანებული ვარ. მაგალითად სახის გაწმენდა ღირს 46 ლარი. ეს არის ღრმა წმენდა, ამაში შედის არა მარტო სახის მექანიკური დამუშავება, არამედ ხდება მეზოთერაპიული მზა კოქტეილების შეყვანა სახის ზედაპირზე. დასაქმებულნი არიან სპეციალისტები, ჩვენმა ექიმებმა გაიარეს სტაჟირება თბილისში სამედიცინო-ესთეტიკის ცენტრში "ლოტუსი". ვმუშაობთ ყოველი დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე. უახლოეს ხანში პრესოთერაპიის აპარატს ჩამოვიტანთ, გვექნება მასაჟის კაბინეტი, ამასთანავე, უკვე შეძენილი გვაქვს სამედიცინო პედიკურის აპარატი. სამტრედიელი ქალბატონები ძალიან ლამაზები და კარგები არიან, მაგრამ ცოტას თუ წავეხმარებით, უკეთესია".

ნათია ნაცვლიშვილი









რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839
სამტრედიის მაცნე
დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაზუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა